დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ერგეს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრები:

1. რუსუდან უსტიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ანა ტაბატაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. დარეჯან თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ანჟელა აბულაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ეკა მოსიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. ცოტნე გვაჯაია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. მარიამი ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ერგეს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248386688

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი ერგე
ფაქტობრივი მისამართი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი ერგე
საფოსტო ინდექსი	6400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	erge@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577304244

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	N191573 19.02.2026; N241845, 27.02.2026.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026, 25-26 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო

				პროგრამის განხორციელების ადგილი
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი ერგე 1 შენობა-ნაგებობა.**
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი ერგე 1 შენობა-ნაგებობა.**
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი ერგე 1 შენობა-ნაგებობა.**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2026 წლის 19 თებერვლის **N191573** ბრძანების საფუძველზე (ცვლილება შევიდა ბრძანებით **N241845, 27.02.2026),** ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს: (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); წევრები - რუსუდან უსტიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ანა ტაბატაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); დარეჯან თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ანჟელა აბულაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); ეკა მოსიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); ცოტნე გვაჯაია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); მარიამი ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი) დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება **სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ერგეს საჯარო** სკოლაში (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს, 2026 წლის, 25-26 მარტს ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Teams) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. შეხვედრამ პოზიტიურ, კეთილგანწყობილ გარემოში ჩაიარა, ექსპერტებმა მასწავლებლებს მისცეს საქმიანი, კონსტრუქციული უკუკავშირი, ზოგიერთი საგნობრივი ექსპერტისგან მიიღეს რჩევა კურიკულუმის შემდგომი დახვეწის მიზნით.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და საგნობრივ ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული დოკუმენტების და მტკიცებულებების წარმოდგენა. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 700	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამ დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3.	**სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**	**სკოლას მიეცა რჩევა:** გაითვალისწინოს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები არ საჭიროებს დამტკიცებას. რამდენადაც მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სკოლის იდენტობასა და მიმართულებას, და არა სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ აქტს. მათი არსი მდგომარეობს საერთო შეთანხმებაში, გაზიარებასა და შიდა გააზრებაში, რაც უზრუნველყოფს, რომ ისინი რეალურად იყოს ცოცხალი და მოქმედი დოკუმენტი, და არა ფორმალური, ერთჯერადად დამტკიცებული ტექსტი.
ინდიკატორი N1.2.2.2.	**მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**	ეფექტიანობის გასაზრდელად სასურველია მონიტორინგის შედეგების უფრო სიღრმისეული ანალიზი და პრიორიტეტული მიმართულებების გაძლიერება.

ინდიკატორი N1.2.2.4.	**სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ჩატარებული ანალიზის შედეგად განსაზღვრული ინტერვენციები და განხორციელებული აქტივობები სისტემურად და სრულად აისახოს დოკუმენტებში. დოკუმენტირება უზრუნველყოფს: • განხორციელებული საქმიანობის სანდო ასახვას; • პროცესის გამჭვირვალობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის; • პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრასა და შესაბამისი პირების ანგარიშვალდებულებას; • სტრატეგიული მიზნების შესრულების ეფექტიანობის შეფასებას. ამასთანავე, დოკუმენტირებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ანგარიშგების პროცესს, საზოგადოების ინფორმირებას და უწყვეტ გაუმჯობესებას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სკოლაში ხარისხიანი განათლების სისტემურ განვითარებას.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.2.1.1.	**სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**	**რჩევა:** სასურველია, რომ კათედრებზე არსებული აქტივობები ინტეგრირდეს ერთიან შეფასების ჩარჩოში, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის სტრუქტურირებას, შედეგების რეგულარულ დოკუმენტირებასა და ანალიზს, ასევე მათი გამოყენებას პროფესიული განვითარების დაგეგმვისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შეფასების სისტემა გახდეს მრავალმხრივი და მოიცავდეს სხვადასხვა ინდიკატორს, რაც უზრუნველყოფს მასწავლებლის საქმიანობის კომპლექსურ და ობიექტურ შეფასებას. ამასთან, შეფასების შედეგები უნდა იყოს პირდაპირ დაკავშირებული ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარების გეგმებთან, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის მიზნობრივ მხარდაჭერასა და სკოლის საერთო ხარისხის გაუმჯობესებას. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წინაპირობები, თუმცა მისი სრულყოფისთვის აუცილებელია არსებული პრაქტიკების სისტემატიზაცია, ერთიან ჩარჩოში მოქცევა და მონაცემებზე დაფუძნებული მართვის გაძლიერება.
ინდიკატორი N3.2.1.3.	**სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**	**რჩევა:** სკოლაში შექმნილი კარიერული ზრდის მხარდამჭერი პოზიტიური პრაქტიკის ეფექტიანობის გასაზრდელად სასურველია პროცესის სისტემატიზაცია, სტრუქტურირება და თითოეული მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასთან მიზნობრივი მიბმა.

ინდიკატორი N3.3.1.1.	**სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**	**რჩევა:** სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რომელი სასკოლო საქმიანობის კონკრეტული ასპექტები ექვემდებარება შეფასებას, რა პერიოდულობით უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროცედურები, რა თანმიმდევრობით წარიმართოს პროცესები, რომელი ინსტრუმენტები უნდა იქნას გამოყენებული და ვინ არის პასუხისმგებელი თითოეული ეტაპის შესრულებაზე. აღნიშნული დეტალიზაცია მნიშვნელოვნად გაზრდის პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. ასევე სასურველია, დოკუმენტში აისახოს შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები - როგორ ხდება მონაცემების ანალიზი, რა ფორმით მიიღება გადაწყვეტილებები და როგორ აისახება ეს ცვლილებები სკოლის შემდგომ საქმიანობაზე. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ციკლის სრულყოფილ ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას.
ინდიკატორი N3.4.1.8.	**სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**	**რჩევა:** სასურველია უსაფრთხოების შეფასებისთვის ერთიანი, სტანდარტიზებული მეთოდოლოგიის შემუშავება და უსაფრთხოების ინციდენტების აღრიცხვისა და ანალიზის ჟურნალის დანერგვა. აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს პრევენციული ღონისძიებების უფრო მიზანმიმართულ დაგეგმვას, პროცესების გამჭვირვალობის ამაღლებას და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება სასკოლო გარემოს უსაფრთხოების სტანდარტზე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **რჩევა**: სასურველია კათედრაზე შეთანხმდეს სწავლების სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმების ერთიანი ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩოს საფუძველზე თითოეულმა მასწავლებელმა უზრუნველყოს საკუთარი საგნობრივი კურიკულუმის შემუშავება, რაც გააძლიერებს თანმიმდევრულობას და ხარისხის ერთიან სტანდარტს.

		საზოგადოებრივი მეცნიერებები ***რჩევა:*** საგან „მე და საზოგადოების“ კურიკულუმში თემების ფარგლებში რიგი სამიზნე ცნების ასახვა სრულად არ ჩანს. სასურველია, სწავლა-სწავლების პროცესში თითოეული თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება თანმიმდევრულად და სრულად დამუშავდეს. XII კლასის გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია მათემატიკის კურიკულუმის მიხედვით, რაც ტექნიკურ ხარვეზზე მიუთითებს. სასურველია ტექნიკური ხარვეზის გასწორება და გეოგრაფიის კურიკულუმის სრულყოფილი, შესაბამისი ვერსიის შემუშავება. **უცხოური ენები** **რჩევები:** ▪ სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს კომუნიკაციურ და ინტერაქტიულ აქტივობებზე (როლური თამაშები, დისკუსიები, პრეზენტაციები), რათა მოსწავლეებმა ენა გამოიყენონ პრაქტიკაში. ▪ სასურველია დიფერენცირებული სწავლების გაძლიერება, სხვადასხვა დონის მოსწავლეთათვის შესაბამისი დავალებების შეთავაზებით. სასურველია ფორმატიული შეფასების სისტემატური გამოყენება, რაც დაეხმარე როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს პროგრესის სწორად გააზრებაში. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** • საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან. სასურველია კათედრაზე შემუშავებული და შეთანხმებულ იქნას საერთო კურიკულუმის ჩარჩო. • სასურველია კურიკულუმში ჩანდეს მაგალითი შედარებისათვის. • კომპლექსური დავალების პირობა გადამუშავდეს ისე, რომ უფრო ნათლად იყოს ფორმულირებული და შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს. (ხელოვნების კურიკულუმში მესამე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე - კლასები). • მუსიკის კურიკულუმში დაწყებით საფეხურზე და საბაზო საფეხურზე - მეცხრე კლასში, გაიზარდოს შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებების რაოდენობა.

ინდიკატორი N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში გაიწეროს სასკოლო პროექტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებების შესაბამისი აქტივობებიც. **უცხოური ენები** **რჩევები:** • სასურველია აქტივობების როლი უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, თუ როგორ მიჰყავს თითოეული აქტივობა მოსწავლეს საბოლოო საკომუნიკაციო დავალებამდე (მაგ: დიალოგის შექმნა, პრეზენტაცია, წერითი ნამუშევარი). • სასურველია დავალებების უფრო კონკრეტულად ფორმულირება, რათა მოსწავლეებმა ზუსტად გაიგონ, რას ითხოვს დავალება და რა შედეგს უნდა მიაღწიონ. • სასურველია მეტი ინტეგრირებული აქტივობების გამოყენება (მაგ: ერთდროულად საუბრისა და მოსმენის განვითარება). **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** სასურველია დაიგეგმოს პროექტები/აქტივობები სხვა საგნებთან ინტეგრირებით. სხვა საგნებთან ინტეგრირებული პროექტების/აქტივობების დაგეგმვა ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. ასეთი მიდგომა: • აძლიერებს სხვადასხვა საგანს შორის კავშირების დანახვას და ერთიან სურათს ქმნის; • ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრისა და ანალიზის უნარებს; • ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, რადგან სწავლა ხდება უფრო საინტერესო და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული; • უწყობს ხელს თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებას; • უზრუნველყოფს კომპლექსური დავალებების შესრულებას, რაც უკეთ ამზადებს მოსწავლეებს პრაქტიკული გამოწვევებისთვის.

		სახელმწიფო ენა **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურის სახელმწიფო ენის კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ გამოკვეთოს აქტივობების როლი. აქტივობები იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ მოსწავლეები ეტაპობრივად მივიდნენ კონკრეტული დავალების შესრულების პროცესამდე. მკაფიოდ გამოიკვეთოს შუალედური მიზნის ანუ შემოქმედებითი ბუნების დავალების მიმართება საგნობრივ ცნებებთან, ანუ განისაზღვროს კონკრეტული დავალებით რომელ გრძელვადიან მიზანზე (ცნებებზე)მიმდინარეობს მუსაობა. სასურველია უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად გამოკვეთოს საკითხი დავალებებში. **მათემატიკა** **რჩევა;** სასურველი იქნება თუ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი ყველა კლასში სკოლაში იქნება შეთანხმებული და ერთიანი მიდგომით შევსებული. კურიკულუმის გადამუშავებისას გაძლიერდეს რესურსების მრავალფეროვნება, რაც ხელს შეუწყობს კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები, დაზუსტდეს სამიზნე ცნებების სახელდება, სტანდარტის შედეგები და კონკრეტული დავალების იდეა.
ინდიკატორი N2.1.2.3.	..კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლ რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლ შედეგების მიღწევას	**უცხოური ენები** **რჩევები:** ▪ სასურველია ფილმების, ანიმაციებისა და მოკლე ვიდეოების გამოყენება როგორც მოსმენის, ისე კულტურული კონტექსტის გააზრებისთვის.

		▪ აქტიურად გამოიყენეთ რესურსები დისკუსიებისა და როლური თამაშებისთვის, რათა მოსწავლეებმა ენა გამოიყენონ რეალურ კომუნიკაციურ გარემოში. ▪ მნიშვნელოვანია რესურსების დიფერენცირება - სხვადასხვა სირთულის მასალების შეთავაზება განსხვავებული ენობრივი დონის მოსწავლეთათვის. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული და სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი რესურსები, ვებ გვერდები აუდიო და ვიდეო მასალა და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. კათედრის წევრების ერთობლივი შეთანხმებით დაალაგონ კლასების იხედვით რესურსების ბაზა, სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში შესაბამის გრაფაში სრულად შეიტანონ მატერიალური და ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ. **სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ბოლო სვეტი გამდიდრდეს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით, როგორიცაა: ვიდეორგოლები, ნიმუშები (მაგ.: დღიურის ჩანაწერი, წერილი, ჩანახატი, ესე, პოსტერი და სხვ.), ფილმები, ანიმაციები და თემატურად მსგავსი ტექსტები. აღნიშნული რესურსები ეფექტურად შეიძლება გამოყენებულ იქნას დისკუსიების წარმართვისთვის, პარალელების გასავლებისთვის და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი წერითი დავალებების შესასრულებლად, რაც გაამდიდრებს სასწავლო პროცესს და გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას. **მათემატიკა** **რჩევები:** • კურიკულუმის გადამუშავებისას კათედრამ რესურსების ტიპობრივი მრავალფეროვნებაზე გაამახვილოს განსაკუთრებული ყურადღება, რათა

		გარემო გახდეს უფრო საინტერესო და ბავშვზე უფრო მეტად ორიენტირებული. • კურიკულუმში ჩაემატოს რესურსების ფართო არეალი, რათა სასწავლო პროცესი უფრო დინამიკური და თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული გახდეს. • სასურველია რესურსების მრავალფეროვნებაზე აქცენტის გაკეთება, რაც უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური სტანდარტის გარემოს, უმაღლესი განათლებისთვის მომზადების ეტაპზე. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.
ინდიკატორი N2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**უცხოური ენები** **რჩევები:** • სასურველია უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი დიფერენცირების კონკრეტული სტრატეგიები (მაგ., დავალებების დონეების მიხედვით დაყოფა, არჩევანის შესაძლებლობა, სხვადასხვა ტიპის აქტივობები). • სასურველია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ელემენტების ინტეგრირება საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. • სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოთ თანატოლთა თანამშრომლობითი სწავლება (pair/group work), რაც ხელს უწყობს ენის პრაქტიკაში გამოყენებას და სოციალურ ინტეგრაციას. • სასურველია შეფასების დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება, რათა თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი პროგრესის მაქსიმალურად წარმოჩენა. **მათემატიკა** **რჩევა:** კათედრაზე მოხდეს რესურსების წინასწარი დაგეგმვა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, რათა სწავლება მაქსიმალურად მოერგოს მათი რეალურ საჭიროებებს.

		რჩევა: კათედრაზე განხილულ იქნას მოსწავლეთა მიღწევების ანგარიშები, რათა რესურსების შერჩევა მოხდეს კონკრეტული აკადემიური საჭიროებების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**უცხოური ენები** **რჩევები:** ▪ სასურველია შეფასების რუბრიკები უფრო მკაფიოდ დაუკავშირდეს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს რათა გამოიკვეთოს კონკრეტულად რომელი უნარი ფასდება. ▪ სასურველია თითოეული დავალების პირობისა და მოთხოვნების მაქსიმალურად კონკრეტულად ჩამოყალიბება, რათა მოსწავლემ ზუსტად იცოდეს, რას მოეთხოვება. ▪ სასურველია ზეპირი უნარების შეფასების უფრო სისტემატური ინსტრუმენტების დანერგვა (მაგ., საუბრის რუბრიკები, თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება). ▪ სასურველია განმავითარებელი შეფასების გაძლიერება რეგულარული უკუკავშირის საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პროგრესის უკეთ მართვას. **სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სასურველია, **სამივე საფეხურზე** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას შორის. დავალების პირობა და მოთხოვნები სასურველა იყოს მეტად მკაფიოდ და გასაგებად ფორმულირებული. ასევე, დავალებაში გამოყენებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. **მათემატიკა** **რჩევა;** სისტემის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით, სასურველია შეფასების კრიტერიუმები მეტად ორიენტირდეს მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლაზე.

		რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკების მეტი დეტალიზაცია, რათა უკეთ გამოჩნდეს თითოეული მოზარდის ინდივიდუალური აკადემიური ზრდა. **რჩევა:** სასურველია შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, რათა ისინი მაქსიმალურად ფოკუსირდეს მოსწავლის პერსონალურ პროგრესსა და ანალიტიკურ განვითარებაზე. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმებში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები; მკაფიოდ გამოიკვეთოს კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და სტანდარტით მისაღწევი შედეგები.
ინდიკატორი N2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია, კათედრაზე დაინერგოს სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კურიკულუმების გაზიარების პრაქტიკა, რომელიც გაფორმდება შესაბამისი ოქმით (მაგალითად, მშობელთა კრების ან სადამრიგებლო საათის ამსახველი ოქმი). **უცხოური ენები** **რჩევები:** ▪ სასურველია კურიკულუმში აქტივობების მოდიფიცირების პროცესი უფრო სისტემატურად იყოს აღწერილი, რათა აშკარად იყოს გამოხატული თითოეული აქტივობის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი. ▪ სასურველია ინდივიდუალურად ადაპტირებული რესურსებისა და დავალებების ნუსხის შექმნა სხვადასხვა ენობრივი დონის მოსწავლეებისთვის. ▪ სასურველია ინტეგრირებული აქტივობები იყოს წარმოდგენილი, რაც მოიცავს ოთხივე ენობრივი უნარის ერთდროულ განვითარებას (მოსმენა, კითხვა, საუბარი, წერა). **მათემატიკა**

		რჩევა; სასურველია, მეთოდოლოგიური საკითხები კათედრის წევრებმა ერთობლივად განიხილონ. **რჩევა:** სასურველია მეთოდოლოგიური საკითხების კათედრის დონეზე, ერთობლივი კონსულტაციებით გადაწყვეტა, რაც გააძლიერებს სწავლების ხარისხს. **რჩევა:** პროცესის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია კათედრის წევრთა მჭიდრო კოლეგიური თანამშრომლობა და საერთო სტრატეგიული მიდგომების შემუშავება. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.
ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**უცხოური ენები** **რჩევები:** ▪ სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები თითოეული დავალებისთვის, რომლებიც პირდაპირ ეყრდნობა დავალების კრიტერიუმებს. ▪ სასურველია აღინიშნოს შეფასების ეტაპობრივი მოცულობა და კრიტერიუმები სხვადასხვა საფეხურის მიხედვით, რაც გაზრდის გამჭვირვალობას და ობიექტურობას. ▪ აქტიურად გამოიყენეთ განმავითარებელი შეფასება, რომელიც მოიცავს რეგულარულ უკუკავშირს, რათა მოსწავლეებმა პროგრესი რეალურად დაინახონ და შეძლონ თავის განვითარებაზე კონცენტრირება. **სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურზე დავალების პირობა იყოს მაქსიმალურად მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ერთი კონკრეტული პროდუქტი, რომელიც მოსწავლემ უნდა შექმნას, ხოლო დავალების მოთხოვნები შეესაბამებოდეს იმ შესაძლებლობებს, რასაც აღნიშნული პროდუქტი იძლევა. წერითი დავალებების შემთხვევაში აუცილებელია დეტალების დაკონკრეტება. მაგალითად, წერილის დაწერისას უნდა განისაზღვროს, ვისი პოზიციიდან წერს

		მოსწავლე, ვინ არის ადრესატი და რა არის წერილის მიზანი. ანალოგიურად, დღიურის ჩანაწერის შემთხვევაში უნდა მიეთითოს პერსპექტივა (ვისი სახელით იწერება) და კონკრეტული საკითხი, რაზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება. სასურველია, მოსწავლეებს გაეცნონ შესაბამისი ნიმუშებიც (მაგ.: დღიურის ჩანაწერისთვის - ცნობილი ტექსტების ამონარიდები), რათა უკეთ გაიაზრონ ჟანრის თავისებურებები. **მათემატიკა** **რჩევა:** სასურველია, რუბრიკები წინასწარ იყოს გაწერილი და მოსწავლეებისთვის გასაგები ენით გაცნობილი, რათა მათთვის ნათელი იყოს შეფასების თითოეული კრიტერიუმი. **რჩევა:** სასურველია, შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებმა თემის დაწყებისას გაიცნონ, რათა მათთვის პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე და გასაგები იყოს. **რჩევა:** შეფასების ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია რუბრიკების წინასწარი წარდგენა მოსწავლეებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათ თვითორგანიზებასა და პასუხისმგებლობის ზრდას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში გაიწეროს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.
ინდიკატორი N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**უცხოური ენები** **რჩევები:** ▪ სასურველია რესურსების დიფერენცირება სხვადასხვა ენობრივი დონის მოსწავლეთათვის, რათა თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება.

		▪ სასურველია ციფრული პლატფორმების უფრო ინტენსიური ინტეგრირება, რაც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და დამოუკიდებელი სწავლის შესაძლებლობას. ▪ სასურველია მოსწავლეთა ჩართვა რესურსების შერჩევის პროცესშიც, რაც კიდევ უფრო გაზრდის მათ მოტივაციას. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა;** • ხელოვნებისა და მუსიკის რესურსების ბაზა დაიგეგმოს კათედრის შეთანხმებით; • რესურსები დალაგდეს თემების, საგნებისა და კლასების მიხედვით კურიკულუმთან შესაბამისობაში; • აქტიურად იქნას გამოყენებული განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული ვებ-გვერდები და პლატფორმები; მუსიკის საგნის სწავლებისას ინტეგრირდეს მრავალფეროვანი ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსები, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავებ დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური ელექტრონული რესურსები.
ინდიკატორი N2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**უცხოური ენები** **რჩევები:** • სასურველია დამხმარე რესურსების ვალიდაციის პროცესი იყოს უფრო დეტალურად დოკუმენტირებული (კრიტერიუმები, შერჩევის პრინციპები, შეფასების ფორმები). • სასურველია რესურსების პერიოდული განახლება თანამედროვე ტენდენციებისა და მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.

		• სასურველია რესურსების დიფერენცირება სხვადასხვა ენობრივი დონის მიხედვით, რათა თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა. • სასურველია პედაგოგებს შორის რესურსების გაზიარების პრაქტიკის გაძლიერება (საერთო ბაზის შექმნა), რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს.
ინდიკატორი N2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**უცხოური ენები** **რჩევები:** • სასურველია აუდიო-ვიზუალური მასალების სისტემატური გამოყენება, განსაკუთრებით მოსმენისა და საუბრის უნარების განვითარებისთვის. • სასურველია რესურსების ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის განსხვავებული საჭიროებების მქონეთათვის. • სასურველია ინტეგრირებული აქტივობების გამოყენება, სადაც ერთდროულად ვითარდება რამდენიმე ენობრივი უნარი.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო **სკოლის მისიაა** დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ხელი შეუწყოს მის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. ფორმალური და არაფორმალური განათლების გაძლიერების გზით შესძინოს მას თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნა და ცნობიერება, განუვითაროს კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. ჩაუნერგოს ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა. შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები ხარისხიანი განათლების მისაღებად, საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი თვისებების, შესაძლებლობების გამოსავლენად.

ხედვა - სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლის მომავლის ხედვაა, რომ იგი იყოს მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კონკურენტუნარიანი ადამიანის ჩამოყალიბებაზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. სკოლა 2030 წლისთვის იყოს ლიდერი საგანმანათლებლო სივრცეში.

ღირებულებები - მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა ცალკეულმა თანამშრომელმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით:

გამჭირვალობა;

✓ თანამშრომლობა;

✓ ობიექტურობა

✓ პასუხისმგებლობა;

✓ ტოლერანტობა;

✓ ინოვაციურობა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლის მისია და ხედვა მკაფიოდ ასახავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ძირითადი პრინციპებს. სკოლის საქმიანობა მიმართულია მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაზე, ჰოლისტურ განვითარებაზე და თვითრეალიზაციის ხელშეწყობაზე. აქცენტი კეთდება ეროვნული ღირებულებების, ისტორიისა და კულტურის ცოდნის, საზოგადოების და სახელმწიფოს მიმართ პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებას.

გარდა ამისა, სკოლის მისია ხაზს უსვამს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას, ეთიკური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გაღრმავებას, რაც ხელს უწყობს ტოლერანტული, სამართლიანი და პასუხისმგებლიანი პიროვნებების ჩამოყალიბებას. ანალიტიკური აზროვნება, კრიტიკული უნარები და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება განიხილება მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტებად.

ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური განვითარების ხელშეწყობა, კომუნიკაციური უნარების განვითარება და საზოგადოების აქტიურ ჩართულობაში მონაწილეობის პრინციპი ქმნის პიროვნების სრულფასოვან, ჰოლისტურ განვითარებას. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ციფრული უნარები და გარემოსადმი ეკოლოგიური პასუხისმგებლობა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მზაობას გლობალური გამოწვევებისადმი ადეკვატურად რეაგირებისთვის.

საბოლოოდ, სკოლის მისია და ხედვა არის ეროვნულ მიზნებთან ჰარმონიზებული და თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებთან შესაბამისი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

მისიაში მკაფიოდ იკვეთება სკოლის როლი, როგორც **პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სივრცის** - მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, გონებრივი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა, თვითრეალიზაციისთვის საჭირო უნარების ჩამოყალიბება სრულად პასუხობს ინდიკატორის ამ კომპონენტს. ასევე, კულტურულ ფასეულობებზე, ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს მიმართ პატივისცემაზე გაკეთებული აქცენტი ადასტურებს, რომ სკოლა აღიქმება როგორც **სოციო-კულტურული გარემო**, სადაც მიმდინარეობს არა მხოლოდ სწავლება, არამედ ღირებულებების ფორმირებაც.
უსაფრთხო გარემო მისია-ხედვაში **პირდაპირ არ არის ნახსენები**, თუმცა ისეთი ჩანაწერები, როგორიცაა „სათანადო პირობების შექმნა ხარისხიანი განათლების მისაღებად" და მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტაცია **გულისხმობს უსაფრთხო, მხარდამჭერი და კეთილგანწყობილი გარემოს არსებობას**.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია ჩამოყალიბებულია ინკლუზიური პროცესის საფუძველზე, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასკოლო საზოგადოების ძირითადი წარმომადგენლები - პედაგოგები, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობლები. მისიის განსაზღვრისას გათვალისწინებულია როგორც შიდა რესურსები, ისე საზოგადოების საჭიროებები, რაც უზრუნველყოფს მის აქტუალობასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას.
სკოლაში შემუშავებულია და ოფიციალურად დამტკიცებულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების, აგრეთვე სტრატეგიული დაგეგმვის ერთიანი მეთოდოლოგიური ჩარჩო (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 2სექტემბრის N01-01/17 ბრძანებით). აღნიშნული რეგულაცია განსაზღვრავს ამ დოკუმენტების შექმნისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, ადგენს პასუხისმგებელ პირებს და აღწერს პროცესში ჩართულ მხარეთა როლებს. ამასთან, დადგენილი წესით რეგულირდება მისიისა და სხვა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურები, ასევე მათი პერიოდული განახლებისა და დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგის მუხლი 8-ით განსაზღვრულია მისიის მისიის, ხედვის და ღირებულებების დამტკიცება, რაც განხორციელებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. ამ საკითხთან დაკავშირებით **სკოლას მიეცა რჩევა: გაითვალისწინოს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები არ საჭიროებს დამტკიცებას. რამდენადაც მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სკოლის იდენტობასა და მიმართულებას, და არა სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ აქტს. მათი არსი მდგომარეობს საერთო შეთანხმებაში, გაზიარებასა და შიდა გააზრებაში, რაც უზრუნველყოფს, რომ ისინი რეალურად იყოს ცოცხალი და მოქმედი დოკუმენტი, და არა ფორმალური, ერთჯერადად დამტკიცებული ტექსტი.**
სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 7 სექტემბრის პედსაბჭოს ოქმი N1, ასევე სამეურვეო საბჭოს ოქმი N1 რომელზეც განხილულ და შეთანხმებულ იქნა სკოლის ფილოსოფია.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუების, ადმინისტრაციისა და მასწავლებლების განმარტებების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ორგანიზებულ შეხვედრებზე სისტემურად ეცნობიან სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. აღნიშნული პრაქტიკა მხარდაჭერილია შეხვედრების ჩანაწერებითა და ოქმებით, რაც ადასტურებს პროცესის დოკუმენტირებას.
მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული გასაუბრებები ცხადყოფს, რომ მათთვის კარგად ცნობილია სკოლის ძირითადი ღირებულებითი პრინციპები და განვითარების ძირითადი მიმართულებები. ეს მიუთითებს, რომ ინფორმაცია ვრცელდება არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ რეალურად აღწევს ადრესატებს და ასახავს სკოლის კომუნიკაციის ეფექტურობას.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები აჩვენებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო, ხელმისაწვდომი და აქტიურად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მათი კომუნიკაცია რეგულარული, მიზნობრივი და სისტემური ხასიათისაა, რაც სრულად შეესაბამება სტანდარტების მოთხოვნებს.

სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება განახორციელა სხვადასხვა ეფექტური გზით, სასკოლო ღონისძიებებით, შეხვედრებით, ასევე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის საშუალებით. აღნიშნულმა პროცესმა ხელი შეუწყო სკოლაში ერთიანობისა და საერთო პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და Facebook გვერდზეც, რაც უზრუნველყოფს მათ საჯაროდ ხელმისაწვდომობასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლა დაფუძნებულია **ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის** შესაბამისად, კერძოდ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით. სკოლის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის სტატუსს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- კითხვარების ანალიზი;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N3;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N1;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N1;
- ამონაწერი იურიდიული პირების რეესტრიდან;
- საჯარო სკოლის წესდება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის (მისიის, ხედვისა და ღირებულებების) ფორმირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს გრძელვადიანი განვითარების საფუძველს და განსაზღვრავს მართვის პროცესის ძირითად ეტაპებს, მათ შორის მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებას, ღირებულებების განსაზღვრას, სტრატეგიული მიმართულებების დაგეგმვასა და განვითარების პრიორიტეტების იდენტიფიცირებას სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით.
დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი პროცესში ჩართული პირები და მათი პასუხისმგებლობები. ასევე განსაზღვრულია მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, ცვლილებების შეტანისა და გავრცელების წესები. დამატებით, მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე წლიური ანგარიშგების პრინციპებს.
დოკუმენტი ასახავს იმ ძირითად მიდგომებსა და პროცედურებს, რომლებზეც დაფუძნებით ხორციელდება როგორც გრძელვადიანი განვითარების, ასევე წლიური სამოქმედო მიზნების დაგეგმვა.
წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა (2023-2030) შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით, შეთანხმებულია პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის N1 სხდომაზე და დამტკიცებულია საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის N1 სხდომაზე.
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლის გრძელვადიანი (2023–2030 წწ) სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და მიზნების განხორციელებას. გეგმა განსაზღვრავს გზებს, როგორ მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენებით და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით.

სტრატეგიული გეგმა დეტალურად მოიცავს გარემო ფაქტორების ანალიზს და SWOT შეფასებას (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხეები), რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული გადაწყვეტილებების უფრო ინფორმირებულ და ადეკვატურ მიღებას. ასევე, გეგმა ასახავს 2023–2030 წლების სასწავლო პროცესის წარმართვის სტრატეგიას და საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმას, სადაც იდენტიფიცირებულია ყველა საკომუნიკაციო არხი შესაბამისი სეგმენტების მიხედვით.

სტრატეგიული მიზნების განხორციელების პარალელურად გათვალისწინებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას იძლევა ზუსტად განსაზღვრო დასახული მიზნების შესრულების ხარისხი. შედეგად, სტრატეგიული გეგმის სწორად განხორციელება ხელს უწყობს სკოლის ეფექტურ საქმიანობას, ხარისხიანი განათლების მიწოდებას და მოსწავლეთა პიროვნული, ინტელექტუალური და სოციო-კულტურული განვითარების უზრუნველყოფას.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული გეგმა სრულად ასახავს სასწავლო პროცესის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, უზრუნველყოფს რესურსების ეფექტურ გამოყენებას და ქმნის მყარ საფუძველს ხარისხიანი განათლების განხორციელებისთვის, გრძელვადიან განვითარებასა და სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობისთვის.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

2025-2026 სასწავლო წლის სკოლის სამოქმედო გეგმა შემუშავებულია დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბერის N01-02/30 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, განხილულია ამავე ჯგუფის სხდომაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს N3 სხდომაზე. სამოქმედო გეგმის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ის ფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში ძირითადი სტრატეგიული მიზნები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტულ ამოცანებში. თითოეულ ამოცანას თან ერთვის შესრულების ვადა თვეების მიხედვით, შესრულების ინდიკატორები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, ასევე ჩართული სხვა მხარეები. დააზუსტებულია თუ რა ფინანსური, მატერიალური და რომელი ადამიანური რესურსით ახორციელებს სკოლა კონკრეტულ აქტივობას.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025-2026 სასწავლო წლის სკოლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა (2023-2030);
- პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის N1 სხდომის ოქმი;

- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის N1 სხდომის ოქმი;
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია,

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მართვა არ შემოიფარგლება მხოლოდ დაგეგმვით, არამედ მოიცავს მათი შესრულების სისტემურ მონიტორინგსა და შედეგების შეფასებას. ასევე განსაზღვრულია წლიური ანგარიშგების ჩარჩო, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და მიღწეული შედეგების ანალიზს. დოკუმენტში ჩამოყალიბებული პრინციპები, მეთოდები და პროცედურები ქმნის ერთიან, თანმიმდევრულ საფუძველს როგორც გრძელვადიანი განვითარების, ისე მოკლევადიანი ამოცანების დაგეგმვისთვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა აღქმულია, როგორც უწყვეტი და ციკლური პროცესი - იგი ხორციელდება შვიდწლიან პერიოდში ერთხელ, ხოლო ახალი გეგმის შემუშავება იწყება წინასწარ, რაც უზრუნველყოფს პროცესის შეუფერხებელ გაგრძელებას. ამასთან, გათვალისწინებულია გარემოებების ცვლილებებზე დროული რეაგირების შესაძლებლობაც.

მეთოდოლოგიაში გაწერილი მონიტორინგის მექანიზმი ეფუძნება მონაცემებზე დაფუძნებულ მიდგომას. სასწავლო წლის ბოლოს შექმნილი სამუშაო ჯგუფი SWOT-ანალიზის გამოყენებით აფასებს არსებულ მდგომარეობას, იდენტიფიცირებს სუსტ მხარეებსა და პრობლემების გამომწვევ მიზეზებს და გეგმავს შესაბამის ინტერვენციებს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ აქტივობას ერთვის კონკრეტული ვადები და პასუხისმგებელი პირები, რაც ზრდის ანგარიშვალდებულებასა და შესრულების კონტროლის შესაძლებლობას.

შედეგებზე დაფუძნებული უკუკავშირის უზრუნველყოფა და სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება მიუთითებს, რომ სკოლაში დანერგილია მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვის პრაქტიკა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სამოქმედო გეგმა იყოს რეალისტური, საჭიროებებზე ორიენტირებული და ადაპტირებული არსებული გამოწვევების მიმართ. ამავდროულად, პროცესში სხვადასხვა აქტორის ჩართულობა ხელს უწყობს კოლეგიალურობასა და გადაწყვეტილებების გაზიარებას, რაც საბოლოოდ აძლიერებს სტრატეგიული განვითარების ეფექტიანობას.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში, რომლის შესწავლით ირკვევა, რომ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელება სისტემურად არის დაკავშირებული სტრატეგიულ გეგმასთან და ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს. ანგარიშგებაზე დაფუძნებული შეფასება და აქტივობებისთვის სტატუსების მინიჭება უზრუნველყოფს პროცესის სტრუქტურირებულობასა და გამჭვირვალობას, ხოლო სამეურვეო საბჭოს ჩართულობა ზრდის ობიექტურობას.

ანგარიშის შესწავლით დადასტურდა, რომ სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგენეს ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსო ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით

თითოეულ აქტივობას მიენიჭა სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ და საბოლოოდ, გაკეთდა განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

ანალიზი მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი პროგრესი მიღწეულია სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისა და ადამიანური რესურსის განვითარების მიმართულებით, მაშინ როცა მოსწავლეთა მხარდაჭერის კომპონენტში შედეგები შედარებით სუსტია და საჭიროებს დამატებით გაძლიერებას. ცალკეულ შემთხვევაში შეინიშნება გარე ფაქტორების გავლენაც (ინფრასტრუქტურული სამუშაოები), რაც ასახულია შესრულების დონეზე.

საერთო ჯამში, სკოლაში დანერგილია მტკიცებულებებზე დაფუძნებული, სისტემური მონიტორინგის პრაქტიკა, თუმცა **ექსპერტთა მიერ გაიცა რჩევა - ეფექტიანობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია შედეგების უფრო სიღრმისეული ანალიზი და პრიორიტეტული მიმართულებების გაძლიერება.**

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. შესაბამისად სკოლამ წარმოდგენილი ანგარიში გააცნო პედსაბჭოს, განიხილა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით გამოაქვეყნა სკოლის ვებგვერდზე. ასევე, ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობისთვის გამოიყენა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი, მათ შორის: ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, და საჯარო განხილვები (ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან),

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიღებული შედეგების საფუძვლიან ანალიზს, რომლის შედეგად გამოიკვეთება როგორც ძლიერი, ისე გასაუმჯობესებელი მიმართულებები. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საფუძველს შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისთვის და შესაბამისი ინტერვენციების განსაზღვრისთვის, რომლებიც მიმართულია სუსტი მხარეების გაძლიერებაზე. ამ პრინციპის შესაბამისად, 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, სკოლის მიერ გამოყენებულ იქნა 2025-2026 სასწავლო წლის გეგმის შემუშავების საფუძვლად.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა, რომ ჩატარებული ანალიზი, განსაზღვრული ინტერვენციები და განხორციელებული აქტივობები სისტემურად და სრულად აისახოს დოკუმენტებში. დოკუმენტირება უზრუნველყოფს:

- განხორციელებული საქმიანობის სანდო ასახვას;
- პროცესის გამჭვირვალობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის;
- პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრასა და შესაბამისი პირების ანგარიშვალდებულებას;
- სტრატეგიული მიზნების შესრულების ეფექტიანობის შეფასებას.

ამასთანავე, დოკუმენტირებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ანგარიშგების პროცესს, საზოგადოების ინფორმირებას და უწყვეტ გაუმჯობესებას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სკოლაში ხარისხიანი განათლების სისტემურ განვითარებას.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შვიდწლიანი 2025-2032 ს/წ სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026;
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის N1 სხდომის ოქმი;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მართვისა და საქმიანობის ორგანიზების სათანადო სტრუქტურა.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო; დირექცია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი); ადმინისტრაციული პერსონალი (საქმისმწარმოებელი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და ბიბლიოთეკარი); პედაგოგიური საბჭო; ასევე ტექნიკური პერსონალი (დარაჯი, დამლაგებელი და ექთანი).

ამასთან ერთად, სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი 7 კათედრა და მრჩეველთა საბჭო, რაც ხელს უწყობს როგორც სასწავლო პროცესის, ისე მართვის სხვადასხვა მიმართულების ეფექტიან ორგანიზებას.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 კათედრა, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. სკოლის კოლეგიური სამუშაო ჯგუფების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული არიან: დირექტორი,

დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1 საინფორმაციო მენეჯერი, 1 სკოლის ექთანი, 2 დარაჯი, 3 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში, სკოლაში 34 მასწავლებელია (მათ შორის 1 წამყვანი, 33 უფროსი, მათ შორის 1 დირექტორის მოადგილე უფროსის სტატუსით).

დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული emis-ში დარეგისტრირებული პირი - დირექტორის მოადგილე (ბრძანება N 01-04/03, 2024 წლის 1 ივლისი) რომელიც დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში ასრულებს დირექტორის მოვალეობას, განსაზღვრულია ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 13 სექტემბერი ბრძანება N 01-03/33), ასევე "დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით" (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის ბრძანებით N01-03/24) განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად პოლიტიკა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში 2024 წლის 2 ივლისს, დირქტორის ბრძანებით N 01-01/03 დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები განსაზღვრულია სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს თანამშრომელთა საქმიანობასა და პასუხისმგებლობის სფეროებს, რაც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის ორგანიზებულ და თანმიმდევრულ განხორციელებას.

წარმოდგენილი ოქმების შესწავლის, ასევე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეული და თანამშრომელი პასუხისმგებლობით ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებასა და სკოლის საერთო მიზნების მიღწევას. აღნიშნული პროცესის მხარდაჭერის მიზნით სკოლაში რეგულარულად ტარდება სამუშაო შეხვედრები და თათბირები, რაც უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორის ეფექტიან კომუნიკაციას და თანამშრომლობით გარემოს ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამტატო განრიგი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- დასაქმებულთა ხელშეკრულებები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში ადამიანური რესურსების მართვა რეგულირდება შესაბამისი შიდა დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავს აღნიშნულ სფეროში ძირითად პოლიტიკურ მიმართულებებს. კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 02 ივლისის ბრძანებით №01-01/05), სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტით (დამტკიცებულია 2024 წლის 02 ივლისის ბრძანებით №01-01/03) და დებულებით „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ გაწერილია პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სკოლის პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მათ სამუშაო აღწერილობებთან შესაბამისობაში, ხოლო მასწავლებელთა შემთხვევაში - მოქმედი კანონმდებლობისა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სკოლის შინაგანაწესი შესაბამისობაშია როგორც პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებებთან, ისე სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან. საჭიროების შემთხვევაში, შინაგანაწესში ცვლილებები განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში დანერგილი მართვის მიდგომა ეფუძნება პრევენციულ და ინტერვენციულ პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე და მათზე დროულ, შესაბამის რეაგირებაზე. აღნიშნული სისტემის ფარგლებში, დისციპლინური კომიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების დაცვას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის ჩარევებს, რაც ხელს უწყობს წესრიგის შენარჩუნებასა და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის კუთხით, მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება და ექთნის კაბინეტის არსებობა უზრუნველყოფს სისტემურ მონიტორინგს. ექსპერტული შეფასებით, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო სერვისების მიწოდება, მონაცემთა დაცვა და მომსახურებაზე მუდმივი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს.

პერსონალის მართვის ნაწილში, დასაქმებულთა გამოცხადების, დაგვიანებისა და გამოუცხადებლობის საკითხები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით (მუხლი 4 - სამუშაო ადგილზე დაგვიანება და გამოუცხადებლობა). აღნიშნული წესები მიზნად ისახავს ადმინისტრაციული კონტროლის გაძლიერებასა და შრომითი დისციპლინის დაცვას. დასაქმებული ვალდებულია წინასწარ აცნობოს დირექტორს ან დირექტორის მოადგილეს სამუშაოზე არ გამოცხადების შესახებ, მიუთითოს არყოფნის სავარაუდო ხანგრძლივობა და მიზეზები, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ ერთი საათით ადრე.

გადაუდებელი გარემოებების შემთხვევაში (მაგალითად, ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობის გამო) დასაშვებია ინფორმაციის მიწოდება გონივრულ ვადაში, რაც უზრუნველყოფს ეფექტიან და მოქნილ კომუნიკაციას ადმინისტრაციასთან.

სამუშაო პროცესის ზედამხედველობას ახორციელებენ დირექტორი და დირექტორის მოადგილე, რომლებიც აკონტროლებენ დასაქმებულთა გამოცხადებას, სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვებასა და გამოუცხადებლობას. არასაპატიო მიზეზით დაგვიანების ან არყოფნის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წარადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება. საპატიო მიზეზით არყოფნისას ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვებისას დისციპლინური სანქციები არ გამოიყენება, თუმცა შესაბამისი დროის ანაზღაურება იკავება ხელფასიდან.

არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვება განიხილება დისციპლინურ დარღვევად და ექვემდებარება შინაგანაწესით განსაზღვრულ შესაბამის ღონისძიებებს.

ექსპერტული დასკვნა:

დადგინდა, რომ სკოლაში დანერგილია სისტემური და საჭიროებებზე მორგებული პრევენციული და ინტერვენციული მართვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოებას, კეთილდღეობას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას. ადმინისტრაციული კონტროლის პროცედურები, სამუშაო დროის ზედამხედველობა და დისციპლინური ნორმების მკაფიო განსაზღვრა უზრუნველყოფს პერსონალის ეფექტიან მართვას, თანამშრომლობასა და სამუშაო დისციპლინის დაცვას. აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობენ სკოლაში სტაბილურ განვითარებას, სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ორგანიზაციულ ეფექტიანობას.

ექსპერტული ანალიზის მიხედვით, აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს სკოლაში სისტემურ და მიზნობრივ მართვას, სტრატეგიული განვითარებისა და სასწავლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების გაძლიერებას, რაც წარმოადგენს სკოლაში განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფი მნიშვნელოვანი მექანიზმის ცენტრალურ ნაწილს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესი რეგულირდება მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. კერძოდ, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში აღნიშნული პროცესი ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების – „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ – შესაბამისად.

პედაგოგთა შერჩევა მიმდინარეობს როგორც შიდა, ისე ღია კონკურსის წესით, პროცესში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებლის სახლისა და რესურსცენტრის წარმომადგენელთა ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს ობიექტურობასა და სამართლიანობას. სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობას. დასაქმებულთა პირად საქმეებში დაცულია ინფორმაცია ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების, აგრეთვე უფლებამოსილების ჩამორთმევის ფაქტების შესახებ, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი სამუშაო გარემოს შექმნას.

ექსპერტული შეფასებით, აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს პერსონალის მართვის სისტემურ, გამჭვირვალე და სამართლებრივად გამართულ პროცესს, რაც დადებითად აისახება როგორც სასწავლო პროცესის ხარისხზე, ისე ორგანიზაციულ ეფექტიანობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რაც ასევე დადასტურდა პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება ხორციელდება მრავალფეროვანი მართვითი და პროფესიული სტრუქტურების ეფექტიანი ფუნქციონირების გზით. სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო და სამეურვეო საბჭო, ასევე საგნობრივი კათედრები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა დისციპლინის მასწავლებლებს. აღნიშნული სტრუქტურები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებების განხილვაში და მოსწავლეთა საჭიროებებზე დაყრდნობით ახორციელებენ კურიკულუმის მოდიფიკაციას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ინდივიდუალურ მორგებას.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საჭიროებისამებრ, იქმნება სპეციალური კომისიები, რაც უზრუნველყოფს საკითხების მრავალმხრივ განხილვას და სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინებას. თანამშრომელთა უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გადანაწილებული, რაც ხელს უწყობს როგორც პასუხისმგებლობის გაზიარებას, ისე პროცესების ეფექტიან მართვასა და კონტროლს.

სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი და ინკლუზიური სამუშაო გარემო, სადაც თითოეული თანამშრომელი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად ერთვება გადაწყვეტილებების მიღებაში. გუნდური და მონაწილეობითი მუშაობის ეფექტიანობა დადებითად შეფასდა ექსპერტთა ვიზიტის დროსაც, რაც ადასტურებს, რომ აღნიშნული პრაქტიკა წარმატებით არის დანერგილი და ხელს უწყობს სკოლის ორგანიზაციულ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შიდა რეგულაციები განსაზღვრავს დასაქმებულთა წახალისების სისტემას და მისი გამოყენების წესებს. კერძოდ, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი (მუხლი 10) არეგულირებს იმ მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია თანამშრომელთა პროფესიული მიღწევების აღიარებისა და მოტივაციის გაძლიერებისკენ. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს როგორც მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებული სამუშაოს დაფასებას, ისე განსაკუთრებული სირთულისა და მნიშვნელობის ამოცანების წარმატებით განხორციელებას, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი საქმიანობის აღნიშვნას და საგანმანათლებლო პროცესში მიღწეული გამორჩეული შედეგების მხარდაჭერას.

სკოლაში დამკვიდრებული წახალისების ფორმები მოიცავს მადლობის გამოცხადებას, სიგელით დაჯილდოებას, ფასიანი საჩუქრის გადაცემას და ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემას. დამატებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნაც, როგორც წახალისების ერთ-ერთი ფორმა. შინაგანაწესი დეტალურად განსაზღვრავს თითოეული მექანიზმის გამოყენების წესსა და პირობებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში წარმატებული პრაქტიკების გაზიარება სისტემატურად ხორციელდება. აღნიშნული გამოცდილება განიხილება კათედრების ფარგლებში და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, ასევე წარმოდგენილია მუნიციპალურ და რეგიონულ კონფერენციებზე და ვრცელდება სკოლის სოციალურ ქსელებში. მსგავსი მიდგომა ხელს უწყობს პროფესიული ცოდნის გავრცელებას, გამოცდილების გაზიარებასა და სასწავლო პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საშტატო განრიგი და შრომითი ხელშეკრულებები;

- სკოლის შინაგანაწესი;
- კონკურსის ჩატარების წესი;
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ESchool-ის ბაზის მონაცემები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ასახავს სკოლის მისწრაფებას შექმნას აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე და ეფექტიანი სისტემა. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ შეფასება უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ კონტროლს, არამედ თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, რაც სრულად შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს.

მასწავლებელთა შეფასების მიმართულებით სკოლაში უკვე დანერგილია თანამშრომლობაზე დაფუძნებული პრაქტიკები. კერძოდ, კათედრებზე ორგანიზებულია ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა, ხორციელდება ურთიერთდაკვირვება და ხდება უკუკავშირის გაზიარება. აღნიშნულ პროცესში გამოყენებულია გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების რუბრიკები, რაც ქმნის შეფასების გარკვეულ სტრუქტურას და ზრდის მის ობიექტურობას. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლა უზრუნველყოფს პედაგოგთა ჩართულობას პროფესიული განვითარების აქტივობებში, მათ შორის ტრენინგებსა და სხვადასხვა პროგრამებში, რაც დამატებით ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

ამასთანავე, ანალიზი აჩვენებს, რომ არსებული პრაქტიკები მეტწილად ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და არ არის სრულად ინტეგრირებული ერთიან შეფასების სისტემაში. კათედრებზე მიმდინარე აქტივობები - ურთიერთდაკვირვება, ერთობლივი დაგეგმვა და უკუკავშირი - ფუნქციონირებს, თუმცა არ იკვეთება მათი სისტემური დაკავშირება საერთო შეფასების ჩარჩოსთან. ასევე, ნაკლებად ჩანს შეფასების შედეგების დოკუმენტირების, ანალიზისა და მიღებული მონაცემების საფუძველზე შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა.

გარდა ამისა, შეფასების პროცესი ძირითადად კონცენტრირებულია გაკვეთილზე დაკვირვებაზე და ნაკლებად მოიცავს სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები, პროგრესი, მასწავლებლის პროფესიული განვითარება და მისი გავლენა სასწავლო გარემოზე. აღნიშნული გარემოება გარკვეულწილად ზღუდავს შეფასების სიღრმესა და ობიექტურობას.

შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, რომ კათედრებზე არსებული აქტივობები ინტეგრირდეს ერთიან შეფასების ჩარჩოში, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის სტრუქტურირებას, შედეგების რეგულარულ დოკუმენტირებასა და ანალიზს, ასევე მათი გამოყენებას პროფესიული განვითარების დაგეგმვისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ შეფასების სისტემა გახდეს მრავალმხრივი და მოიცავდეს სხვადასხვა ინდიკატორს, რაც უზრუნველყოფს მასწავლებლის საქმიანობის კომპლექსურ და ობიექტურ შეფასებას. ამასთან, შეფასების შედეგები უნდა იყოს პირდაპირ დაკავშირებული ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარების გეგმებთან, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის მიზნობრივ მხარდაჭერასა და სკოლის საერთო ხარისხის გაუმჯობესებას.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წინაპირობები, თუმცა მისი სრულყოფისთვის აუცილებელია არსებული პრაქტიკების სისტემატიზაცია, ერთიან ჩარჩოში მოქცევა და მონაცემებზე დაფუძნებული მართვის გაძლიერება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის პროფესიული განვითარება სკოლაში ხორციელდება პერსონალის ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, შემუშავებული განვითარების გეგმის მიხედვით. აღნიშნული გეგმა განსაზღვრავს პრიორიტეტებს, გამოყენებულ ფორმებს, ვადებს, ტრენინგებს, სემინარებს, კონსულტაციებსა და გამოცდილების გაზიარების პროცესებს.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პედაგოგებისა და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციების სისტემურ გაუმჯობესებას, რაც სრულად განწყობილია სკოლის საგანმანათლებლო მიზნების მიღწევასთან და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის მაღალ დონეზე შენარჩუნებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლა პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობას განიხილავს, როგორც ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს. წარმოდგენილი პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლა მიზანმიმართულად ქმნის გარემოს, რომელიც ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიული წინსვლისა და შესაძლებლობების რეალიზებაზე.

პედაგოგთა ჩართულობა მუნიციპალურ და რეგიონალურ კონფერენციებში, თემატურ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში ქმნის შესაძლებლობას, რომ მათ განაახლონ პროფესიული ცოდნა, გაეცნონ თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს და გაუზიარონ გამოცდილება კოლეგებს. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს არა მხოლოდ ინდივიდუალური კომპეტენციების განვითარებას, არამედ სკოლის შიგნით ცოდნის გავრცელებასა და პროფესიული თანამშრომლობის გაძლიერებას.

ამასთანავე, აღნიშნული მიდგომა პოზიტიურად აისახება მასწავლებელთა კარიერულ წინსვლაზე, რადგან პროფესიულ განვითარებაში აქტიური მონაწილეობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას კარიერული საფეხურების გადალახვისთვის. სკოლაში არსებული პრაქტიკა ქმნის საფუძველს, რომ პედაგოგებმა გააუმჯობესონ საკუთარი საქმიანობის ხარისხი და მიაღწიონ უფრო მაღალ პროფესიულ სტატუსს.

რჩევა: სკოლაში შექმნილია კარიერული ზრდის მხარდამჭერი პოზიტიური პრაქტიკა, თუმცა მისი ეფექტიანობის გასაზრდელად სასურველია პროცესის სისტემატიზაცია, სტრუქტურირება და თითოეული მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასთან მიზნობრივი მიბმა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლა სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლა თანამშრომელთა სამუშაო გარემოში ინტეგრაციას განიხილავს, როგორც ორგანიზაციული ეფექტიანობისა და სტაბილურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. წარმოდგენილი ინფორმაცია მიუთითებს, რომ სკოლაში დანერგილია თანამშრომელთა ადაპტირების მექანიზმი, რომელიც რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და შინაგანაწესით და უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებულ და სტრუქტურირებულ წარმართვას.
სკოლაში შექმნილია პირობები, რომლებიც ახალ თანამშრომლებს აძლევს შესაძლებლობას სწრაფად გაერკვნენ სასკოლო საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და პროცედურებში, ეფექტიანად ჩაერთონ სამუშაო პროცესში და დაამყარონ პროფესიული ურთიერთობები კოლეგებთან. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს არა მხოლოდ ინდივიდის ადაპტაციას, არამედ გუნდური მუშაობის კულტურის ჩამოყალიბებასა და სკოლისადმი ერთგულების გაძლიერებას.
ამასთანავე, ინტეგრაციის პროცესის ეფექტიანობა პოზიტიურად აისახება სამუშაო პროცესის საერთო ხარისხზე - თანამშრომლები უფრო სწრაფად ითვისებენ დამკვიდრებულ სტანდარტებს, ამცირებენ ადაპტაციის პერიოდს და მეტად პროდუქტიულად ერთვებიან სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმიანობაში. შედეგად, იზრდება ორგანიზაციული სტაბილურობა და სასწავლო გარემოს უწყვეტობა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება წარმოადგენს ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს. დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოს ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში მკაფიოდ არის დელეგირებული თანამშრომელთა უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რაც ქმნის წინაპირობას ეფექტიანი მართვისა და პროცესების გამართულად წარმართვისთვის.

სკოლაში ჩამოყალიბებულია პოზიტიური, მეგობრული და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სამუშაო გარემო, რომლის ჩამოყალიბებაშიც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება როგორც სკოლის დირექტორს, ისე მთლიან კოლექტივს. აღნიშნული გარემო ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციის ზრდას, ინიციატივების გამოვლენასა და მათი პრაქტიკაში რეალიზებას.

თანამშრომლები აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა პროფესიულ და სასკოლო აქტივობებში, თავად ინიცირებენ ღონისძიებებს, თანამშრომლობით გეგმავენ საქმიანობას და სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს პროფესიულ გამოცდილებას. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ პროფესიულ განვითარებას და აძლიერებს გუნდური მუშაობის კულტურას.
ამასთანავე, არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლაში ინიციატივების მხარდაჭერა მეტწილად ეფუძნება პოზიტიურ სამუშაო გარემოსა და არაოფიციალურ თანამშრომლობით ურთიერთობებს.
საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში შექმნილია პერსონალის განვითარების ხელშემწყობი გარემო, სადაც თანამშრომელთა ინიციატივები რეალურად ფასდება და ხორციელდება. თუმცა, აღნიშნული პროცესის მდგრადობისა და ეფექტიანობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია მისი სისტემატიზაცია და სტრუქტურირებული მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კათედრის ოქმები;
- კათედრების სამოქმედო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლაში ხარისხის მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. დოკუმენტი მოიცავს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, მონიტორინგისა და რევიზიის ზოგად ჩარჩოს, რაც ქმნის საფუძველს ხარისხის შიდა მექანიზმების დანერგვისა და მათი ეტაპობრივი გაუმჯობესებისთვის. ამასთანავე, დოკუმენტი ითვალისწინებს გარე შეფასების, მათ შორის ავტორიზაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის ანალიზს, რაც დადებითად აისახება შიდა სისტემების განვითარებაზე.

აღნიშნული მიდგომა მიუთითებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობა და ცდილობს მართვის პროცესების სისტემურ ორგანიზებას. თუმცა, ანალიზი აჩვენებს, რომ დოკუმენტი მეტად კონცეპტუალურ ხასიათს ატარებს და საჭიროებს დამატებით კონკრეტიზაციას, რათა პრაქტიკაში მისი ეფექტიანი განხორციელება სრულად იყოს უზრუნველყოფილი.

ექსპერტთა რჩევა სწორედ ამ საჭიროებას ეხმიანება. სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რომელი სასკოლო საქმიანობის კონკრეტული ასპექტები ექვემდებარება შეფასებას, რა პერიოდულობით უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროცედურები, რა თანმიმდევრობით წარიმართოს პროცესები, რომელი ინსტრუმენტები უნდა იქნას გამოყენებული და ვინ არის პასუხისმგებელი თითოეული ეტაპის შესრულებაზე. აღნიშნული დეტალიზაცია მნიშვნელოვნად გაზრდის პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

ასევე სასურველია, რომ დოკუმენტში აისახოს შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები - როგორ ხდება მონაცემების ანალიზი, რა ფორმით მიიღება გადაწყვეტილებები და როგორ აისახება ეს ცვლილებები სკოლის შემდგომ საქმიანობაზე. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ციკლის სრულყოფილ ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს მმართველობითი პროცესების მკაფიო რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და დეტალურად აღწერს დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციებს, პასუხისმგებლობებსა და ანგარიშვალდებულებებს. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის ორგანიზაციული მართვის სტრუქტურირებულ საფუძველს და უზრუნველყოფს როლებისა და ფუნქციების გამიჯვნას, რაც მნიშვნელოვანია ეფექტიანი მართვისთვის.

შინაგანაწესთან ერთად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა სრულყოფილად არეგულირებს სამუშაო პროცესთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, მათ შორის სამუშაო დროის რეჟიმს, დასვენებისა და შვებულების წესებს, ანაზღაურების პრინციპებს, შრომის პირობების დაცვას, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმებს, მატერიალურ პასუხისმგებლობას, ასევე განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურებს. აღნიშნული რეგულაციები ქმნის სამართლებრივად გამართულ და წინასწარ განსაზღვრულ სამუშაო ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულობასა და სამართლიანობას.

დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში შექმნილია გამჭვირვალე და სტრუქტურირებული სამუშაო გარემო, სადაც თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები მკაფიოდაა განსაზღვრული. ეს გარემო ხელს უწყობს როგორც შიდა მართვის ეფექტიანობას, ისე თანამშრომელთა ნდობისა და ორგანიზაციული სტაბილურობის განმტკიცებას.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ არსებული რეგულაციები ქმნის მყარ საფუძველს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტაბილური ფუნქციონირებისთვის. ამასთანავე, პროცესების უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით სასურველია რეგულაციების პერიოდული გადახედვა და მათი პრაქტიკაში ეფექტიანობის შეფასება, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების შესაბამისობას მიმდინარე საჭიროებებსა და თანამედროვე მოთხოვნებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში განცხადებებისა და საჩივრების განხილვის სისტემა რეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტებით და წარმოადგენს ორგანიზაციული მართვის მნიშვნელოვან კომპონენტს. დირექტორის 2024 წლის 03 ივლისის N01-01/12 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული პროცედურა მკაფიოდ განსაზღვრავს განცხადებისა და საჩივრის წარდგენის წესსა და ვადებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის ხელმისაწვდომობასა და წინასწარ განსაზღვრულობას ყველა დაინტერესებული პირისთვის.

დოკუმენტის მიხედვით, ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც განიხილება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ. კერძოდ, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, ხოლო მისი გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეო საბჭოში, რაც უზრუნველყოფს მრავალსაფეხურიან და ობიექტურ განხილვის პროცესს.

ამასთანავე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (მუხლი 16) განსაზღვრავს კონკურსის შედეგების გასაჩივრების მექანიზმს. აღნიშნული წესის შესაბამისად, ვაკანსიის შევსების პროცესში წარმოდგენილი პრეტენზიის შემთხვევაში, დირექტორი ქმნის საპრეტენზიო კომისიას,

რომელიც უზრუნველყოფს საკითხის დამოუკიდებელ და სამართლიან განხილვას. ეს მექანიზმი ზრდის კონკურსის პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას.
ქსპერტული შეფასებით, სკოლაში დანერგილია გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის გამართული და სტრუქტურირებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების სამართლებრივ დაცულობას, პროცესების გამჭვირვალობასა და ინსტიტუციურ ანგარიშვალდებულებას. აღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც შიდა მართვის ხარისხის გაუმჯობესებაში, ისე სასკოლო საზოგადოების ნდობის გაძლიერებაში.
საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ არსებული მექანიზმები ქმნის ეფექტიან საფუძველს სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებისთვის, ხოლო მათი ფუნქციონირება ხელს უწყობს სკოლის მართვის სისტემის სტაბილურობასა და სანდოობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში მოსწავლეთა და პერსონალის უფლება-მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში - შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში, რაც უზრუნველყოფს თითოეული მხარის როლისა და პასუხისმგებლობის წინასწარ განსაზღვრულობას.

მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები ასახულია შინაგანაწესში, სადაც რეგულირდება მათი ქცევა, სასწავლო პროცესში ჩართულობა და სკოლის შიდა წესრიგის დაცვა. პერსონალის შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრავს როგორც პროფესიულ ვალდებულებებს, ასევე მათ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, რაც ქმნის სამართლებრივად გამართულ სამუშაო ჩარჩოს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მშობლის უფლებები და ვალდებულებები დეტალურად არის გაწერილი მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელშეკრულებაში. აღნიშნული უზრუნველყოფს მშობლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ზრდის კომუნიკაციის ხარისხს სკოლასა და ოჯახს შორის და ქმნის პასუხისმგებლობების სწორად გადანაწილების საფუძველს.

დოკუმენტების ასეთი სტრუქტურირება ხელს უწყობს სკოლის შიგნით ურთიერთობების გამჭვირვალობას, ამცირებს გაუგებრობის რისკებს და აძლიერებს სამართლებრივ დაცულობას ყველა ჩართული მხარისთვის. ამასთანავე, სასურველია, რომ სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ რეგულარული ინფორმირება და განმარტება, რათა ყველა დაინტერესებულმა პირმა სრულად გააცნობიეროს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში შექმნილია უფლებებსა და მოვალეობებზე დაფუძნებული მკაფიო და გამართული სისტემა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობასა და ორგანიზაციულ სტაბილურობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობლის/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა,
- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლის "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა".

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, რაც განპირობებულია როგორც სკოლაში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევით, ისე თანამშრომელთა შესაძლებლობების გამოვლენა-რეალიზაციით. სკოლა აღიარებს, რომ ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელია მუდმივი კომუნიკაცია, ინფორმაციის მიღება და მოქალაქეებთან, თანამშრომლებთან და მშობლებთან უკუკავშირის ოპერატიული გაცვლა.

სკოლის მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო მექანიზმები მრავალმხრივია და მოიცავს როგორც სოციალურ ქსელებს, ისე სასკოლო საზოგადოების მიერ შექმნილ საკომუნიკაციო ჯგუფებს, ასევე Microsoft Teams-ის პლატფორმას. აღნიშნული პლატფორმები უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის თანამშრომლობას, ხოლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობას.

ექსპერტული შეფასებით, აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას, უკუკავშირის მიღებასა და მიღებული გამოხმაურების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელებას. შედეგად, სკოლის მართვის პროცესი ხდება უფრო გამჭვირვალე, ადაპტირებული საჭიროებებზე და გულისხმობს საზოგადოების ფართო მონაწილეობას, რაც ზრდის როგორც გადაწყვეტილებების სანდოობას, ისე სკოლაში საერთო მუშაობის ეფექტურობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა მართვის კოლეგიალურ ორგანოებში უზრუნველყოფილია სისტემურად და აქტიურად, რაც გამოხატავს სკოლის ვალდებულებას ეყრდნოს მონაწილეობის და კოლეგიალური მმართველობის პრინციპებს. კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონირებენ სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები და მოსწავლეთა თვითმმართველობა.

წარმოდგენილი მასალა, მათ შორის კოლეგიალური ორგანოების მუშაობის ოქმები, ადასტურებს, რომ გადაწყვეტილებები მიღებულია კანონმდებლობის სრული დაცვით, პროცესები დოკუმენტირებული, სისტემური და გამჭვირვალეა. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს არა მხოლოდ სამართლებრივად

დაცული მმართველობის უზრუნველყოფას, არამედ ზრდის სტრატეგიული გადაწყვეტილებების სანდოობას და ახდენს სასკოლო საზოგადოების წევრების ფართო ჩართულობის გაძლიერებას.
ექსპერტული შეფასებით, კოლეგიალური ორგანოების ფუნქციონირება და მათ მიერ წარმოებული დოკუმენტაცია ქმნის ეფექტიან მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების სამართლიან მიღებას, პროცესების გამჭვირვალობასა და სკოლის მართვის სისტემურობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ამსახველი ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რათა შექმნას უსაფრთხო გარემო მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლებისთვის. უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე რეაგირების ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს საფრთხეების ადრეულ გამოვლენას და ეფექტიან მართვას.

სკოლის შენობა აღჭურვილია 24 საათიანი დაცვით, ჰყავს ორი დარაჯი, რომლებიც განრიგის შესაბამისად მორიგეობენ, მოქმედებს მანდატურის სამსახური, ხოლო ტერიტორია შემოღობილია და დაცულია უცხო პირებისგან. დამატებით, სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები შიდა და გარე პერიმეტრზე, რაც ზრდის უსაფრთხოების კონტროლის შესაძლებლობებს.

გარდა ფიზიკური დაცვის ღონისძიებებისა, სკოლაში არსებობს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (2026 წლის 13 იანვარი, ბრძანება N 01-02/79). გეგმა მოიცავს ყველა სახის საგანგებო სიტუაციას - ბუნებრივ კატაკლიზმებს, ტექნიკურ გადახრებსა და სხვა რისკებს. აღნიშნული გეგმა წარმოადგენს უსაფრთხოების მექანიზმის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და რისკების ეფექტიან მართვას.
ასევე 2026 წლის 13 იანვარს, სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, შექმნილია საგანგებო შტაბი (ბრძანება N01-02/78).

სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (008588225), რითაც დასტურდება, რომ სკოლის შენობის ტექქნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.
შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხში სკოლას გაგზავნილი აქვს მიმართვა, რომელიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრირებულია ნომრით № 120135; 14.01.2026წ. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლაში ჩამოვიდა შესაბამისი ჯგუფი, რომელიც სწავლობდა სკოლის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხს.

ექსპერტული შეფასებით, სკოლაში შექმნილია ორგანიზებული, ფიზიკური უსაფრთხოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და პერსონალის დაცვას, პრევენციულ ღონისძიებებსა და საგანგებო სიტუაციების ეფექტიან მართვას, რაც მნიშვნელოვანწილად ზრდის სასწავლო გარემოს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების ეფექტიანი მექანიზმები. შემუშავებულია სამედიცინო დახმარების წესი (22.09.2025, N01-01/18) სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია სპეციალურად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, სადაც არის ყველა საჭირო ინვენტარი და საშუალება, პირველადი დახმარების გაწევის მიზნით.
სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანი, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი დახმარების გაწევას ჯანმრთელობის პრობლემის ან ინციდენტის შემთხვევაში, მისი კომპეტენციის ფარგლებში. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ გამოცხადებული აქვთ ვაკანსია ექიმის პოზიციაზე, რომლის მოძიებაც ამ ეტაპამდე ვერ მოხერხდა, თუმცა ვაკანსიას ყოველ ჯერზე აახლებენ.
ექსპერტული შეფასებით, სკოლაში დანერგილი პირველადი დახმარების სისტემა არის ორგანიზებული, აღჭურვილი და ადაპტირებული სასკოლო საჭიროებებზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტების შესრულებას და საგანგებო სიტუაციებში ეფექტიან რეაგირებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლა სისტემატურად იღებს ყველა აუცილებელ ზომას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით. სკოლა ფუნქციონირებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებული„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებისა და პირობების“ მოთხოვნების შესაბამისად.

სასკოლო ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება მანდატურებისა და მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მუდმივ ზედამხედველობას და მოსწავლეთა, პერსონალისა და ვიზიტორების უსაფრთხოებას. ნებისმიერი სახის წესრიგის დარღვევა ან ინციდენტი აღირიცხება სკოლის შიდა რეგისტრაციისა და მართვის პროცედურების მიხედვით, ხოლო შესაბამისი რეაგირება განისაზღვრება სიტუაციის სიმძიმის და მოქმედი წესების შესაბამისად.

ექსპერტული შეფასებით, სკოლაში დაცულია როგორც სამართლებრივი ნორმები, ისე პრაქტიკული მექანიზმები საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისთვის, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს უსაფრთხოებას, სტაბილურობას და სასკოლო საზოგადოების წევრების ნდობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს მოსწავლეთა უფლებების, პასუხისმგებლობის და კეთილდღეობის მხარდაჭერისთვის, რაც ხელს უწყობს პოზიტიური ურთიერთობებისა და პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბებას.

დამრიგებლები სისტემურად აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ორგანიზებულობას და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა განხორციელდება პრობლემების ადრეული იდენტიფიცირებით, საჭიროებების შეფასებით და დროული, ეფექტური ფსიქოლოგიური დახმარების გაწევით. სკოლის რესურსები - მანდატურის სამსახური და სხვა საჭირო შესაძლებლობები - გამოყენებულია ეფექტურად, ხოლო სადამრიგებლო კლასის შეხვედრებზე განიხილება საკითხები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოსწავლეთა ემოციურ უსაფრთხოებას.

მასწავლებლები სრულად ინფორმირებულნი არიან ძალადობის ნიშნების ამოცნობაზე და სათანადო რეაგირების პროტოკოლებზე. სკოლაში არსებული შიდა ინსტრუქციები და რეფერირების პროცედურები უზრუნველყოფს სწრაფი და მიზნობრივი რეაგირებას ძალადობის ან სავარაუდო ძალადობის შემთხვევებში. ეს მექანიზმები ზრდის უსაფრთხოების ნდობას და აძლიერებს მოსწავლეთა დაცვის ეფექტიანობას.

გარდა დაცვისა, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ღია და თავისუფალ თვითგამოხატვას. გაკვეთილებზე მოსწავლეებს ენიჭებათ შესაძლებლობა განიხილონ პრობლემები, გააზიარონ მიღწევები და მიიღონ მხარდაჭერა მასწავლებლების მხრიდან. აღნიშნული მიდგომა ზრდის მოსწავლეთა ნდობას, აღრმავებს მათ ინიციატივასა და პასუხისმგებლობის გრძნობას, ხოლო სასწავლო გარემოს გარდამავალი ეფექტიანობა მაღალია.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში შექმნილია ორგანიზებული, სისტემური და მრავალშრიანი მექანიზმი მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაც აძლიერებს სასკოლო ცხოვრების სტაბილურობას, ნდობას და შემეცნებით გარემოს ხარისხს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის დროს დადგინდა რომ სკოლაში სრულად არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და პერსონალის ჯანმრთელობის დაცვისა და სასწავლო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სკოლაში არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს ყოველდღიურ და პერიოდულ ღონისძიებებს.

კერძოდ, ყოველდღიურად ლაგდება სველი წესით დერეფნები, საკლასო ოთახები და სხვა სასწავლო თუ დამხმარე სივრცეები, ხოლო მეცადინეობების დასრულების შემდეგ ოთახები იწმინდება. თვეში ერთხელ ტარდება **გენერალური დასუფთავება**, რომლის დროსაც გამოიყენება რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებები. სანიტარულ-ჰიგიენური ინვენტარი ინახება იზოლირებულად და სპეციალურად განკუთვნილ სათავსოებში, რაც უზრუნველყოფს მისი უსაფრთხო შენახვას და მარტივ ხელმისაწვდომობას საჭიროების დროს.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე კონტროლი ენიჭება **მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის კოორდინატორს**, რომელიც პასუხისმგებელია პროცესების ორგანიზებულობაზე, ხარისხის ზედამხედველობაზე და დარღვევების აღმოფხვრაზე.
ექსპერტული შეფასებით, სკოლაში შექმნილია ორგანიზებული, სისტემური და ეფექტიანი მექანიზმი სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტების დაცვისთვის, რაც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის ეფექტურობას, სასწავლო გარემოს სტაბილურობას და სასკოლო საზოგადოების ნდობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პერსონალური მონაცემების დაცვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და სკოლაში დასაქმებული ყველა პირის (მასწავლებელი, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი) უფლებების დაცვას. აღნიშნული მიმართულება რეგულირდება სკოლაში შემუშავებული **პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკით**, რომელიც განსაზღვრავს მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილი პირების წრეს, მათ ვალდებულებებს და წესებს, როგორ უნდა განხორციელდეს მონაცემთა დაცვა. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს **პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი**, რომლის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი საქართველოს პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ-გვერდზე.

გარდა ზოგადი პერსონალური ინფორმაციის დაცვისა, სკოლა განსაკუთრებულად ყურადღებით ეკიდება **ფოტო-ვიდეო მასალის** და **ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის** დამუშავებას. ამგვარი მონაცემების გამოყენება ხდება მხოლოდ **სპეციალური თანხმობის** საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების სრულ დაცვას.

ექსპერტული შეფასებით, სკოლაში არსებული პრაქტიკა წარმოადგენს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის, სამართლებრივად დაცულ და გამჭვირვალე მექანიზმს პერსონალური მონაცემების დაცვისთვის, რაც ზრდის სასკოლო საზოგადოების ნდობას და უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხო დამუშავებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხოებას და დაცვის მექანიზმების სისტემურ ფუნქციონირებას, რაც აუცილებელია როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და სხვა პერსონალის პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებისთვის.

სკოლაში გამოყენებულია ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც რეგულარულად ახლდება, ხოლო მისი მართვა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მონიტორინგი მიმდინარეობს IT სპეციალისტის მიერ. სერვერებისა და ინფორმაციის საცავი სისტემების დაცვა უზრუნველყოფილია შესაბამისი ანტივირუსული და ანტიმავნე პროგრამებით, რაც ხელს უშლის არასანქცირებულ წვდომას და უზრუნველყოფს მონაცემების მთლიანობას.

სკოლის ქსელზე წვდომა რეგულირდება უსაფრთხო პაროლებით და მომხმარებლის ავტორიზაციის პროცესით, რომელიც აკონტროლებს თითოეულ მომხმარებელს და მის უფლებებს. მონაცემების დაცვა განხორციელებულია როგორც ფიზიკური, ისე ლოგიკური საშუალებებით, რაც მოიცავს მონაცემთა შიფრაციასა და სპეციალური დაცვის პროგრამების გამოყენებას.
შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს, რომ ინფორმაციაზე წვდომა ექნებათ მხოლოდ ავტორიზებულ პირებს, რაც უზრუნველყოფს სენსიტიური მონაცემების დაცვას წვდომის, დამახინჯების ან განადგურებისგან. ექსპერტული შეფასებით, სკოლაში დანერგილი სისტემა წარმოადგენს სისტემურ, ტექნიკურად და სამართლებრივად დაცულ მექანიზმს, რომელიც ეფექტურად იცავს სასკოლო საზოგადოების მონაცემებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხოების მაღალ სტანდარტს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში უსაფრთხოების მართვისა და მისი მუდმივი გაუმჯობესების პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება მრჩეველთა საბჭოს, რომელიც ამ მიმართულებით პასუხისმგებლობას ინაწილებს. საბჭოს შემადგენლობა აერთიანებს როგორც ადმინისტრაციული, ისე პედაგოგიური რგოლის წარმომადგენლებს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების საკითხებზე ერთობლივი პასუხისმგებლობის ფორმირებას.
საბჭოს მიერ დანერგილია მორიგეობისა და მონიტორინგის სისტემა, რომელიც სისტემურად აკონტროლებს პროცესებს და ამცირებს შესაძლო ინციდენტების რისკს, ამასთან, ზრდის ზედამხედველობის ეფექტიანობას.
ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია უსაფრთხოების შეფასებისთვის ერთიანი, სტანდარტიზებული მეთოდოლოგიის შემუშავება და უსაფრთხოების ინციდენტების აღრიცხვისა და ანალიზის ჟურნალის დანერგვა. აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს პრევენციული ღონისძიებების უფრო მიზანმიმართულ დაგეგმვას, პროცესების გამჭვირვალობის ამაღლებას და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება სასკოლო გარემოს უსაფრთხოების სტანდარტზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და მისი შეთანხების წერილი;
- ბრძანება 01-02-78 საგანგებო შტაბის შექმნა;
- ბრძანება 01-02-79 საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცება.
- სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს წერილი შენობის მდგრადობაზე;
- მიმართვის წერილი შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე;
- ბრძანება 01-01-18 სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- ბრძანება 01-01-14 საგანგებო სიტუაციები სამედიცინო დახმარება;
- საგანგებო სიტუაციები და სამედიცინო დახმარება;
- თამბაქოს მოხმარების კონტროლის შიდა რეგულაცია და ბრძანება;
- საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბ15რძანება და ოქმები; მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა;
- დამლაგებლის ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- თანხმობის ფორმები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელ ერგეში და მისი საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე დასტურდება საჯარო რეესტრის შესაბამისი ამონაწერით. სასკოლო დაწესებულება განთავსებულია 3502.24 კვ.მ ფართობზე. ჩატარებული რეაბილიტაცია

დასრულდა 2026 წლის იანვარში, რის შედეგადაც ინფრასტრუქტურა სრულად აკმაყოფილებს ერთ ცვლაში 700 მოსწავლის მომსახურებისთვის განსაზღვრულ ზღვრულ შესაძლებლობებს.

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს მრავალფუნქციურ სასწავლო და დამხმარე სივრცეებს: 3 სართულზე განთავსებულ 26 საკლასო ოთახს, 3 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, კომპიუტერულ კაბინეტს 24 პერსონალური კომპიუტერით, სამასწავლებლოს, ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს, სპორტდარბაზს (ორი გასახდელი სივრცით), სპორტულ მოედანს, რესურსოთახს, სამედიცინო კაბინეტს, ბუფეტს, ტანსაცმლის გარდერობს, დირექტორისა და საქმისმწარმოებლის სამუშაო სივრცეებს. ამასთან, თითოეული საგნობრივი კათედრა (სულ 7) უზრუნველყოფილია შესაბამისი სამუშაო კაბინეტით, რაც ხელს უწყობს პედაგოგიური საქმიანობის ეფექტიან ორგანიზებას.

სკოლა აღჭურვილია საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარით, მათ შორის მოსწავლეთა მერხებითა და სკამებით, დაფებით, კომპიუტერული ტექნიკითა და სპორტული ინვენტარით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვას. აღნიშნული რესურსები სრულად შეესაბამება ავტორიზაციის ვადით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.

შესაბამისად, სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებს მოქმედ სტანდარტებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში მატერიალური რესურსებისა და სასწავლო საშუალებების გამოყენება რეგულირდება დოკუმენტით - „დებულება სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს რესურსების გამოყენების წესებს, პასუხისმგებლობებსა და ხელმისაწვდომობის პირობებს. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ, უსაფრთხო და თანასწორ გამოყენებას როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის.

დებულების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროცესში აქტიურად გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსი, მათ შორის ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ასევე სხვადასხვა დამხმარე მასალა. სკოლა უზრუნველყოფს ამ რესურსების ხელმისაწვდომობას და განსაზღვრავს მათი გამოყენების წესებს, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებას.

საგანმანათლებლო რესურსების ტიპები მოიცავს: გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე ლიტერატურას, ელექტრონულ რესურსებს, თვალსაჩინო მასალებს (რუკები, მოდელები და სხვ.), აგრეთვე ისეთ საგანმანათლებლო გარემოს, როგორიცაა ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი და ბუნებრივი სივრცეები. სკოლის გეგმებში გათვალისწინებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების პერიოდული განახლება და შესაბამისი რეაქტივებით უზრუნველყოფა, რაც ზრდის პრაქტიკული სწავლების ეფექტიანობას.

დებულება განსაზღვრავს რესურსებით სარგებლობის ზოგად წესებს, რომელთა მიხედვითაც რესურსის გამოყენება ხორციელდება უფლებამოსილი პირის თანხმობით და შესაბამისი განაცხადის საფუძველზე. რესურსების გამოყენება ნებაყოფლობითია და შეიძლება ინიცირებული იყოს როგორც სკოლის ადმინისტრაციის, ისე სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ. მომხმარებლები ვალდებულნი არიან დაიცვან უსაფრთხოების წესები და გამოიყენონ რესურსები მხოლოდ კანონიერ და საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესურსების გამოყენების კონტროლსა და გამჭვირვალობას - მათ შორის რესურსების აღრიცხვას, გამოყენების მონიტორინგს, მდგომარეობის შემოწმებას გამოყენებამდე და შემდეგ, ასევე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამასთან, დებულება

განსაზღვრავს, რომ რესურსების გამოყენება არ უნდა მოხდეს პოლიტიკური ან არასასკოლო მიზნებისთვის და საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი შეთანხმება.

კომპიუტერული რესურსებისა და ინტერნეტის გამოყენება რეგულირდება მკაფიო წესებით: დასაშვებია ტექსტებთან მუშაობა, ინფორმაციის მოძიება, ელექტრონული კომუნიკაცია და სკოლის ვებ-რესურსების გამოყენება, ხოლო აკრძალულია პროგრამული ცვლილებების განხორციელება, გართობის მიზნით გამოყენება და ტექნიკური სისტემების თვითნებური მართვა. კომპიუტერული რესურსებით სარგებლობა ასევე შეზღუდულია დროით, რაც უზრუნველყოფს რესურსების თანაბარ განაწილებას.

ამრიგად, „სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ“ დებულება წარმოადგენს მნიშვნელოვან მარეგულირებელ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან მართვას, უსაფრთხოებასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას, რაც პირდაპირ აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე და სკოლის ინსტიტუციურ განვითარებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა დადგენილი წესის შესაბამისად ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სივრცით სარგებლობის შესაძლებლობას როგორც სკოლის მოსწავლეებისთვის, ისე მუნიციპალიტეტში არსებული სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის. ბიბლიოთეკა ღიაა თანამშრომლობისთვის და ხელს უწყობს ერთობლივი საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, რაც აძლიერებს სკოლის საზოგადოების ინტეგრაციას და გამოცდილების გაზიარებას.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სივრცის ხელმისაწვდომობას და სთავაზობს სხვადასხვა სერვისს, რაც ემსახურება სკოლის საზოგადოების მრავალფეროვან საჭიროებებს - როგორც საგანმანათლებლო, ისე შემეცნებითი მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მკითხველების მხარდაჭერას, მათ ინფორმაციულ უზრუნველყოფას და რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

სკოლაში იგეგმება სკოლის ბიბლიოთეკის განახლება და შევსება სკოლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის ხელმისაწვდომობას.

ამგვარად, სკოლის ბიბლიოთეკა წარმოადგენს არა მხოლოდ სასწავლო რესურსების საცავს, არამედ აქტიურ საგანმანათლებლო სივრცეს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას, ცოდნის გაღრმავებას და სკოლის ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა დაგეგმილია და მოწყობილია იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს განვითარებას და თითოეული მოსწავლის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების, აქტიურ და სრულფასოვან მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური გარემოს მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას - შენობა აღჭურვილია პანდუსებით, ადაპტირებული ლიფტითა და შესაბამისი სველი წერტილებით, რაც ხელს უწყობს გადაადგილების თავისუფლებას და უსაფრთხო გამოყენებას. ინფრასტრუქტურის დაგეგმვისას გათვალისწინებულია როგორც მოსწავლეთა, ისე სკოლის თანამშრომელთა საჭიროებები, რათა შეიქმნას თანაბრად ხელმისაწვდომი და უსაფრთხო გარემო.

სასწავლო პროცესის მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სპეციალურად მოწყობილი რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინკლუზიური საგანმანათლებლო მასალებით. აღნიშნულ სივრცეში სპეციალური მასწავლებელი ინდივიდუალურად მუშაობს მოსწავლეებთან, რაც უზრუნველყოფს მათ საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას და სწავლის შედეგების გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, სკოლას გააჩნია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, ასევე ღია და დახურული სპორტული სივრცეები და სააქტო დარბაზი, რაც ქმნის მრავალფეროვან შესაძლებლობებს როგორც აკადემიური, ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით.

სკოლის ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს თითოეულ მოსწავლეს, მიიღოს ხარისხიანი განათლება უსაფრთხო, თანასწორუფლებიან და კომფორტულ გარემოში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ორიენტირებულია მრავალფუნქციური, სოციო-კულტურული გარემოს ფორმირებაზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას - პიროვნული, სოციალური და შემოქმედებითი უნარების გაძლიერებას.

სკოლის სხვადასხვა სივრცე - ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ფოიე, სკოლის ეზო და ღია სპორტული მოედანი - გამოიყენება არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის, არამედ ფართო სპექტრის არაფორმალური აქტივობებისთვისაც. აღნიშნული სივრცეები ქმნის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეები ჩაერთონ კულტურულ, შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებებში, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სასკოლო ცხოვრებას.

ინფრასტრუქტურული რესურსების მრავალფეროვნება ქმნის ისეთ გარემოს, სადაც წახალისებულია მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა და ინიციატივა. სკოლაში რეგულარულად იმართება სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის სასწავლო წლის გახსნა, საახალწლო და სხვა თემატური ღონისძიებები, დედა ენის დღის აღნიშვნა და სხვა, რაც ხელს უწყობს პოზიტიური, ჯანსაღი და ინკლუზიური სასკოლო ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სკოლა აღიქმებოდეს არა მხოლოდ როგორც ცოდნის მიღების ადგილი, არამედ როგორც სივრცე, სადაც ვითარდება მოტივაცია, შემოქმედებითი აზროვნება და სოციალური ურთიერთობები, რაც არსებითად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა პიროვნული განვითარების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებას, რაც წარმოადგენს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას. სკოლა მუდმივად ახორციელებს სიახლეების დანერგვას და ცდილობს, სასწავლო პროცესი გახადოს უფრო მოქნილი, ინოვაციური და მოსწავლეზე ორიენტირებული.

თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება ქმნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს განსხვავებული, ინტერაქტიური მიდგომებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას, მოტივაციის ამაღლებას და სასწავლო მასალის უკეთ ათვისებას. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენება ასევე აუმჯობესებს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობას, ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას და ამარტივებს ადმინისტრაციულ პროცესებს.

სკოლა ტექნოლოგიურად სათანადოდ არის აღჭურვილი - ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც მოიცავს 25 პერსონალურ კომპიუტერს და პრინტერს. ასევე თითქმის ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია პროექტორი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ციფრული რესურსების გამოყენებას.

გარდა ამისა, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ბათუმის ტექნოპარკთან, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, შეისწავლონ პროგრამირების საფუძვლები და განივითარონ ციფრული კომპეტენციები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ მომზადებას თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული უნარებით.

ციფრული ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენება ასევე სკოლის ადმინისტრაციის მუშაობაში - მათ შორის დირექტორის, საქმისმწარმოებლისა და ბიბლიოთეკის საქმიანობაში, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას, ოპტიმიზაციას და ეფექტიან მართვას.

საერთო ჯამში, სკოლაში დანერგილი ციფრული გარემო ხელს უწყობს როგორც სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ისე სკოლის მართვის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფას როგორც მოსწავლეებისთვის, ისე სკოლის პერსონალისთვის. გეგმა

ითვალისწინებს არსებული ტექნოლოგიური რესურსების ეტაპობრივ განვითარებას და მათი მაქსიმალურად ეფექტიანად ინტეგრირებას სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში.

სასწავლო პროცესის ორგანიზება ერთ ცვლაში ქმნის დამატებით შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა სკოლის ტექნოლოგიურ რესურსებზე. ამ მიზნით სკოლაში მოქმედებს არასავალდებულო გრაფიკი კომპიუტერული რესურსებით სარგებლობისთვის, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და მათთვის დამატებითი პრაქტიკული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას.

ამასთან, მოსწავლეებს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებლობა აქვთ უქმე დღეებშიც ისარგებლონ სკოლის ინფრასტრუქტურითა და ციფრული რესურსებით, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელ მუშაობას, პროექტებზე მუშაობის განვითარებას და სასწავლო პროცესის გაღრმავებას. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას და მოსწავლეთა პასუხისმგებლობის განვითარებას.

სკოლაში არსებული ციფრული რესურსები და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება როგორც სწავლა-სწავლების პროცესის მხარდაჭერისთვის, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის ოპტიმიზაციისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესების ეფექტიანობას, გამჭვირვალობას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

საერთო ჯამში, სკოლის ციფრული განვითარების ხედვა ხელს უწყობს საგანმანათლებლო გარემოს მუდმივ გაუმჯობესებას და ქმნის პირობებს თანამედროვე, ინოვაციური და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ციფრული განვითარების გეგმა (ბრძანება 01-01-19);
- კომპიუტერული ტექნიკის რესურსების სარგებლობის წესი;
- ინვენტარიზაციის ჟურნალი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში საქმისწარმოების პროცესი რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით, რომელიც ადგენს ერთიან წესებს დოკუმენტბრუნვის ორგანიზებისა და მართვისთვის. აღნიშნული წესები სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისთვის და უზრუნველყოფს ინსტიტუციური საქმიანობის ერთიან და გამჭვირვალე სტანდარტს.

დადგენილი რეგულაციების შესაბამისად ხორციელდება როგორც შემოსული, ისე გასული კორესპონდენციისა და სკოლის მიერ გამოცემული აქტების აღრიცხვა და რეგისტრაცია. საქმისწარმოების წესი განსაზღვრავს მოქალაქეთა განცხადებებთან და ოფიციალურ წერილებთან მუშაობის პროცედურებს, დოკუმენტების რეგისტრაციის, ფორმირებისა და მართვის წესებს, რაც უზრუნველყოფს პროცესების სისტემურ და ორგანიზებულ წარმართვას.

დოკუმენტური მართვის სისტემა მოიცავს პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების სტანდარტებს, დავალებების შესრულების კონტროლის მექანიზმებს, ასევე ინფორმაციის გაცემისა და დოკუმენტების გაგზავნის წესებს. ამასთან, რეგულირდება ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვა, დოკუმენტების არქივში გადაცემა და საარქივო მასალების გამოყენების პირობები.

საერთო ჯამში, სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების სისტემა უზრუნველყოფს დოკუმენტების მოძრაობის გამართულობას, ინფორმაციის სანდოობასა და ხელმისაწვდომობას, ასევე მის სათანადო დაცვას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სკოლის ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობას და მართვის ხარისხს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში საქმისწარმოების პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (e-Flow), რომელიც წარმოადგენს შიდა და გარე კომუნიკაციის თანამედროვე ინსტრუმენტს. აღნიშნული სისტემა მნიშვნელოვნად ამარტივებს დოკუმენტების შექმნის, რეგისტრაციის, გადაადგილებისა და კონტროლის პროცესებს, რაც ხელს უწყობს სამუშაო პროცესების ოპერატიულობას და ზრდის გამჭვირვალობის ხარისხს.

ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გამოყენება უზრუნველყოფს დოკუმენტების სწრაფ და სტრუქტურირებულ მართვას, ამცირებს ბიუროკრატიულ პროცედურებს და ქმნის ერთიან საინფორმაციო სივრცეს, სადაც ყველა პროცესი სისტემურად ფიქსირდება და კონტროლდება.

ამასთან, სკოლა აქტიურად იყენებს თანამედროვე ციფრულ პლატფორმებს, მათ შორის განათლებისა და მართვის სისტემებს, როგორიცაა email.mes.gov.ge, Google Workspace, Office 365 და signature.emis.ge, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციის გაუმჯობესებას, ინფორმაციის სწრაფ გაცვლას და დოკუმენტების ელექტრონულ მართვას.

აღნიშნული ტექნოლოგიური ინსტრუმენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ადმინისტრაციული პროცესების ოპტიმიზაციაში, ისე პედაგოგებისა და მოსწავლეების ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზებაში. შედეგად, სკოლაში იქმნება ეფექტიანი, მოქნილი და თანამედროვე სამუშაო გარემო, რომელიც ხელს უწყობს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული შედეგების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილად ფუნქციონირებადი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool.emis.ge), რაც უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების სისტემურ მართვასა და მონიტორინგს. აღნიშნული პლატფორმა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ხდება მონაცემების ერთიანი სივრციდან მართვა და ანალიზი.

სისტემა მოიცავს ინფორმაციას მოსწავლეთა რეგისტრაციის, განათლების მიღების პროცესის მიმდინარეობის, სასწავლო საფეხურების დაძლევისა და აკადემიური შეფასებების შესახებ, რაც საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნას პროცესების სრული და ზუსტი აღრიცხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

დაწესებულებაში დანერგილია ანგარიშგებებისა და შემოსული კორესპონდენციის მართვის მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები, რომლებიც ეფუძნება დადგენილ ვადებსა და სტანდარტიზებულ წესებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს როგორც დოკუმენტების დროულ დამუშავებას, ისე შესაბამისი რეაგირების თანმიმდევრულ და ეფექტიან განხორციელებას.

სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას შესაბამის რესურსცენტრსა და სხვა მარეგულირებელ უწყებებს. თანამშრომლობს მათთან და ამისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს, მათ შორის სკოლის ელექტრონულ ფოსტას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება 01-01-საქმისწარმოების წესის დამტკიცება;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- eSchool.emis.ge-ზე სკოლის პროფილი;
- 10 დეკემბრის ანგარიშები.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N8

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

ვებ-გვერდისა და სკოლის სოციალური ქსელების ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, დადგინდა, რომ სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესი რეგულირდება შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტებითა და პროცედურებით.

კერძოდ, შემუშავებული და დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რაც განსაზღვრავს ინფორმაციის გავრცელების, უკუკავშირის მიღებისა და კომუნიკაციის ორგანიზების მექანიზმებს. ასევე მოქმედებს მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მშობლებთან ეფექტიან, სისტემურ და მიზანმიმართულ თანამშრომლობას.

გარდა ამისა, სკოლის მიერ განსაზღვრულია სოციალური ქსელებისა და ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რაც უზრუნველყოფს ციფრული პლატფორმების მართვის ორგანიზებულობასა და ინფორმაციის განახლებას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს მშობლებთან კომუნიკაციის პრაქტიკულ განხორციელებას.

ამასთან, სკოლა აქტიურად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო არხებს, მათ შორის სოციალურ ქსელებსა და ელექტრონულ ფოსტას (email.mes.gov.ge, gmail.com), რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის მოქნილობასა და ხელმისაწვდომობას. აღნიშნული პლატფორმების გამოყენება აძლიერებს ურთიერთობას მშობლებთან, მოსწავლეებთან და საზოგადოების სხვა წევრებთან, ქმნის თანამშრომლობით გარემოს და ხელს უწყობს ინფორმაციის სწრაფ და ეფექტიან გაცვლას.

საერთო ჯამში, დანერგილი კომუნიკაციის სისტემა უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის გამჭვირვალობას, ზრდის ჩართულობის ხარისხს და ქმნის პირობებს ეფექტიანი და დროული რეაგირებისთვის, რაც პოზიტიურად აისახება სასკოლო საზოგადოების საერთო განვითარებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

როგორც შემოწმების შედეგად დადგინდა, სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში ინფორმაციის გავრცელების პროცესი ხორციელდება სანდოობის, სიზუსტისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ეფუძნება ოფიციალურ წყაროებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია შესაბამისი თანხმობების მიღება.

ასევე დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემების სისტემურ განახლებას, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის აქტუალურობასა და ხელმისაწვდომობას. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს სკოლის პასუხისმგებლიან მიდგომას კომუნიკაციის პროცესში და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოების ნდობის განმტკიცებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

როგორც შემოწმების შედეგად დადგინდა, სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს და მას განიხილავს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან რესურსად. სკოლა სისტემურად აგროვებს, აანალიზებს და ითვალისწინებს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს.

დადგინდა, რომ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სკოლა ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს როგორც მოსწავლეთა მხარდაჭერას, ისე პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესებას. ასევე გამოვლინდა, რომ უკუკავშირი გამოიყენება ახალი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას, ინიციატივების განსაზღვრასა და განათლების ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებული სტრატეგიების შემუშავებაში. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს სკოლის მიზანმიმართულ მიდგომას უწყვეტი განვითარების, ჩართულობისა და თანამშრომლობითი გარემოს გაძლიერების მიმართულებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლების პორტალზე განთავსებულ ვებგვერდზე, ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლის ვებგვერდი წარმოადგენს სრულფასოვან საინფორმაციო პლატფორმას, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შესახებ არსებითი ინფორმაციის სისტემატიზებულ და ხელმისაწვდომ წარმოდგენას.

ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რაც ასახავს ინსტიტუციის სტრატეგიულ მიმართულებებსა და განვითარების პრინციპებს. ასევე წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურა, სადაც დეტალურად არის აღწერილი მოქმედი ერთეულები და მათი ფუნქციური პასუხისმგებლობები.

დამატებით, ვებგვერდი მოიცავს ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. წარმოდგენილია ასევე საკონტაქტო ინფორმაცია, რაც ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან.

გარდა ამისა, ვებგვერდზე განთავსებულია შინაგანაწესი, გასაჩივრების მექანიზმები და მოსწავლეთა ჩარიცხვისა და მობილობის წესი, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის რეგულირების წესების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

აღნიშნული ინფორმაცია ერთობლიობაში ქმნის სრულ, გამჭვირვალე და სტრუქტურირებულ სურათს სკოლის ფუნქციონირებისა და მართვის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოც. გვერდი;
- დირექტორის ბრძანებით 01-01-15 დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- დირექტორის ბრძანებით 01-01-09 დამტკიცებული მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია (წესი;
- დირექტორის ბრძანებით 01-01-20 დამტკიცებული სოც, ქსელის და ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში ფინანსური რესურსების მართვა წარმოადგენს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ეფექტიანი განხორციელების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს. ბიუჯეტირების პროცესი ეფუძნება მოსალოდნელი შემოსავლებისა და ხარჯების სწორ ანალიზს, პრიორიტეტების განსაზღვრას და სკოლის განვითარების მიზნებთან შესაბამისობას.
დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია სკოლის ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, რაც ხელს უწყობს რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. ბიუჯეტი მჭიდროდ არის დაკავშირებული სკოლის სტრატეგიულ გეგმასთან და საჭიროების შემთხვევაში მოქნილია, რაც უზრუნველყოფს ცვალებად გარემოებებთან ადაპტაციას.
დაწესებულებას აქვს ყოველწლიური ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. დირექტორი კანონმდებლობის შესაბამისად წარადგენს ფინანსურ ანგარიშებს შესაბამის ორგანოებში, ხოლო ყველა სასწავლო და საოპერაციო ხარჯი უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსებით. საჭიროების შემთხვევაში, ბიუჯეტში ხორციელდება კორექტირებები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლაში ფუნქციონირებს ფინანსური რესურსების მართვის გამართული სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ბიუჯეტირების, ისე ანგარიშგებისა და ფინანსური კონტროლის პროცესებს. დაწესებულება სისტემურად ამზადებს წლიურ ბიუჯეტს, უზრუნველყოფს მისი შესრულების მონიტორინგს და ამზადებს პერიოდულ - ყოველთვიურ და კვარტალურ ფინანსურ ანგარიშებს. ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ყოველწლიურად ამზადებს სრულ ფინანსურ ანგარიშს და წარუდგენს მას მაკონტროლებელ ორგანოს - სამეურვეო საბჭოს.
დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანებით N01-02-02 დამტკიცებული საშტატო განრიგის;
- სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ბიუჯეტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

კანონით გათვალისწინებული მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხდება სკოლის შიდა რეგულაციებით. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია არა მარტო მოსწავლის წახალისებისა ფორმები, არამედ დიციპლინური დევნის ღონისძიებათა ერთობლიობაც. ამავე დროს აღნიშნულია, რომ დიციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას , დაუშვებელია. დამრიგებლები მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს წლის დასაწყისში აცნობენ სკოლის შინაგანაწესს და მოსწავლეთა უფლებებსა და მოვალეობებს, რაც ასახულია შიაგანაწესის გაცნობის აქტში ხელმოწერით. აღნიშნული ფაქტი ასახულია შესაბამის ოქმებში სადამრიგებლო პორტფოლიოში. სკოლაში დაცულია აგრეთვე ბაშვთა უფლებების დაცვის კოდექსიც.

მოსწავლეთა ინტერესების და უფლებების დამცველი ორგანოა ერგეს საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე სამეურვეო საბჭოს წევრია და ამ ორგანოში მოსწავლეთა ინტერესებს წარმოადგენს. თვითმმართველობის ინიციატივით მრავალი ღონისძიება იმართება სკოლაში.მათ შორისაა სკოლის ტელევიზია „მზერა“, რომელიც სასკოლო ცხოვრების შესახებ აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას.

დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნავს შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი მანდატურის სამსახური და ფოიესა და დერეფნებში მორიგე მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები და სკოლის დარაჯი.

სკოლაში მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის დადებულ ხელშეკრულებაში
და მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში რა პროცედურებია გასავლელი.

სსსმ მოსწავლეების ხარისხიანი განათლების უფლება დაცულია: სკოლის ისგ გუნდი ზრუნავს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად შექმნას ადაპტირებული სასწავლო გეგმები და თითოეულ სსსმ მოსწავლეს შესთავაზოს შესაბამისი მომსახურება .სასწავლო წლის დასაწყისში მტკიცდება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, შესაბამისად მუშაობს ისგ გუნდი, რესურს ოთახი უამრავი საინტერესო თვალსაჩინოებითა და რესურსებით. სკოლაში ფიზიკური გარემო ისეა მოწყობილი, რომ ყველა მოსწავლეს, მათ შორის ეტლით მოსარგებლე მოსწავლის უფლება საერთო სარგებლობის სივრცეებზე ხელმისაწვდომობა იყოს დაცული

ვიზიტისას მშობლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას სასკოლო საზოგადოების წევრები აღნიშნავდნენ,რომ სკოლაში მათი უფლებები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის უფლებების დაცვისთვის, „ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ შესაბამისად,სკოლა მოსწავლეს და მოსწავლეთა მშობლებს აცნობს საკუთარ უფლებებს წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე და სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში. სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ: სკოლას საინფორმაციო დაფაზე, რამდენიმე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვს

შინაგანაწესი. შინაგანაწესი გაზიარებულია სოციალური ქსელის საშუალებისთ და სკოლის ვებგვერდზეც skolebi.emis.ge.და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ორივე მხარის უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები.ასევე ხელშეკრულებაში გაწერილია ინფორმაცია მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაციის გამოყენების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლის ვებგვერდი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი, რომელიც დამტკიცებულია ხელვაჩაურის მუნიციუპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლის დირექტორის N02-01-02 ბრძანებით. აღნიშნულ წესში განმარტებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისა და შემდგომ გასავლელი ეტაპების თაობაზე. ამავე დროს დოკუმენტში აღწერილია თუ რა წესით ხდება უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება და მოსწავლის ჩარიცხვა,სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვა, მოსწავლის სტატუსის შეჩერება,სტატუსის აღდგენა, მობილობა,კლასისა და საფეხურის დაძლევა.მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესს აქტიურად აზიარებს სკოლა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კლასის დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აქტიურად აწვდიან ინფორმაციას გაცდენების , ექსტერნის გამოცდის ან სტატუსის შეჩერების თაობაზე. მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და საგაკვეთილო ბროცესებში ჩართულობის შესახებ მშობლები/ კანონიერი წარმომადგენლები ინფორმაციას იღებენ პირისპირ მასწავლებლებთან სეხვედრებზე, სატელეფონო კომუნიკაციით, სოციალური ჯგუფების საშუალებით, teams-ის პლატფორმით. სკოლა იცავს ყველა იმ მექანიზმს, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში დაცულია „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი“, რომელიც ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას N05/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესაბ“. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად კლასის და საფეხურის დაძლევის დროს მართავს პედაგოგიური საბჭოს სხდომას, შედგება ოქმი, ოქმის საფუძველზე იწერება ბრძანება კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებას სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურებების, პირობებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სოციალური ქსელებისა და სკოლის ვებგვერდის მეშვეობით. ამავე არხებით ხდება სკოლის შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის გაზიარებაც, რაც ხელს უწყობს პროცესების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.

დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს საბავშვო ბაღებთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველ კლასში შემსვლელი მოსწავლეების ადაპტაციის პროცესისთვის. სასწავლო წლის დასაწყისიდანვე იმართება საინფორმაციო შეხვედრები როგორც მოსწავლეებთან, ისე მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. აღნიშნულ შეხვედრებზე სკოლა აცნობს მათ სასკოლო გარემოს, მიმდინარე და დაგეგმილ აქტივობებს, ასევე სკოლის ძირითად მახასიათებლებს.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლებასაც. დაწყებით საფეხურზე (მეოთხე კლასიდან) მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ მეორე უცხოური ენა, ხოლო საშუალო საფეხურზე — არჩევითი საგნები. აღნიშნული საგნების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდება როგორც მოსწავლეებს, ასევე მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, რაც მათ საშუალებას აძლევს მიიღონ დამოუკიდებელი და გააზრებული გადაწყვეტილება.

ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე მშობლებმა და მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლა რეალურად უზრუნველყოფს არჩევანის თავისუფლებას და გამოხატეს მადლიერება აღნიშნული მიდგომის მიმართ, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესში მათი ჩართულობისა და მოტივაციის ზრდაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლას დირექტორის ბრძანებით ჰყავს დამტკიცებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისია, გამჭირვალეა, განახლებადი და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება N01-01-02 სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი;
- სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- შინაგანაწესი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის ადაპტაციის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს:"სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი", რომელშიც განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელობანი ფაქტორები,შეუგუებლობის ნიშნები, შეუგუებლობის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები,წარმატებული ადაპტაციის ნიშნები,რეკომენდაციები წარმატებული ადაპტაციისას, პირველკლასელთა ადაპტაცია,სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია და სხვა. ადაპტაციის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, თუმცა უდიდესი მნიშვნელობა აქვს კლასის დამრიგებლის, მშობლების, დირექციის, თანაკლასელთა სსსმ მოსწავლის შემთხვევაში კი სპეც. მასწავლებლის ჩართულობას,რაც ერგეს საჯარო სკოლაში აქტიურად ხორციელდება

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან: კლასის დამრიგებლები მოიპოვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებ.

სკოლა სასწავლო წლის დასაწყისიდან ახორციელებს მის მიერ შემუშავებულ ადაპტაციის ხელშემწყობ აქტივობებს. ამავე დროს სკოლას შემუშავებული აქვს „საჯარო სკოლაში მოსწავლის ტრანზიციასთან დაკავშირებული პროცესების მართვის წესი“ შესაბამისად, სკოლაში არის მზაობა პირველკლასელთა ტრანზიციის მხარდაჭერაში. სკოლაში რეგისტრაციის შემდგომ სკოლა ახდენს შეხვედრის ორგანიზებას მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის მიზნით. ხდება მომავალი მასწავლებლის და სასკოლო სივრცის გაცნობა-წინასწარი მონახულება და ა.შ.

მოსწავლეთა სასკოლო გარემოში ადაპტაციისას სკოლა ითვალიწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და განვითარების დონეს, შესაბამისად ხდება საკლაო გარემოსა და სივრცის უზრუნველყოფაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

ერგეს საჯარო სკოლაში დანერგილია ელექტრონული ჟურნალი და მოსწავლეები და მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენელი სისტემატურად იღებენ ინფორმნაციას მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ პირად გასაუბრებებსა და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებითაც . სკოლა სემესტრის დასაწყისში აწვდის მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაციას საგნობრივი გამოცდის შესახებ.ა მავე დროს, მოსწავლეები დამრიგრებლებთან კომუნიკაციით იგებენ ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდის შესახებ. სასკოლო საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ თუ მოსწავლეს არ აკმაყოფილებს სემესტრული ქულა, შეუძლია სემესტრული გამოცდის საშუალებით სცადოს ქულის ამაღლება, რაც გამოიკვეთა ვიზიტის დროს მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებისას.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად იყენებს ინდივიდუალურ მუშაობას და დიაგნოსტიკურ წერებს,რაც სასკოლო სასწავლო გეგმაში არის ასახული.აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკლუბო მუშაობაც, სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი. მოსწავლეები პედაგოგებისგან იღებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც მოსწავლის ცოდნის დონის ორიენტირია და აუცილებელია მოსწავლისთვის პროგრესის მისაღწევად საჭირო აქტივობების დასაგეგმად. სკოლას შედგენილი აქვს რემედიაციის გეგმა და გეგმავს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების რემედიაციით გაუმჯობესებას. მრიგად, ერგეს საჯარო სკოლაში მოსწავლეები სათანადო მხარდაჭერას იღებენ აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. სკოლას საქმიწარმოების წესში გაწერილი აქვს ყველა საქმის წარმოების კანონმდებლობით დადგენილი ვადები, რომელიც არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს. სკოლის დირექცია და კლასის დამრიგებლები დადგენილ ვადებში აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს თითოეულ საგანში გაცდენების ზღვრული რაოდენობის, სემესტრული, საშემოდგომო თუ ექსტერნის გამოცდების თარიღების შესახებ. მოსწავლეთა მობილობის ვადების შეზღუდვის შესახებ და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

ერგეს საჯარო სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა არაფორმალური განათლების მიღების საშუალებას აძლევს. სკოლის მიერ შეთავაზებული არაფორმალური აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას, ჯანსაღი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, აკადემიურ წინსვლას. სკოლაში სისტემატიურად ტარდება სასკოლო გამოფენები, კონფერენციები, სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: ეკოკლუბი:"ჩვენი ნაკვალევი" ფსიქოლოგიის კლუბი, საზოგადოებრივი მეცნიერებების კლუბი

ეკოკლუბში „ჩვენი ნაკვალევი" მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტები:

- "ბიომრავალფეროვნების დაცვა და მდგრადი განვითარება".აღნიშნული პროექტის მიზანი იყო ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის გააზრება, მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლება, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფორმირება.
- „ვიაზროვნოთ გლობალურად, ვიმოქმედოთ ლოკალურად". პროექტის მიზანი იყო კლიმატის ცვლილებით და ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების სწორი მართვა და ქცევის წესების პოპულარიზაცია
- სასკოლო პროექტი:„ჩემს გაკვეთილზე". მოსწავლეებმა შეძლეს ორგანიზმში და გარემოში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების ერთმანეთთან დაკავშირება, ჯანსაღი ცხოვრების წესის და მისი დაცვის მნიშვნელობის გააზრება, სამეცნიერო აღმოჩენების გაგრძელება.
- „ცხოვრების ჯანსაღი წესი" პროექტის მიზანი იყო თემში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, პოპულარიზაცია, ცნობიერების ამაღლება.
- „ლაშქრობა ველურ ბუნებაში"-პროექტის მიზანი იყო მტირალას ეროვნული პარკის უძველესი კულტურული ძეგლების, მისი უნიკალური ფლორისა და ფაუნის გაცნობა, ჩანახატების გაკეთება, ფოტო გამოფენის მოწყობა, ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება „ლაშქრობა ველურ ბუნებაში" პროექტის მიზანი იყო მაჭახელას ეროვნული პარკის უძველესი კულტურული ძეგლების გაცნობა მისი უნიკალური ფლორისა და ფაუნის გაცნობა, ჩანახატების გაკეთება,ფოტო გამოფენის მოწყობა, ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება

სკოლას მოწყობილი აქვს აქტივობებისთვის სპეციალური სივრცეც. მაგალითად პროექტის სასკოლო ტელევიზია „მზერა"-ს ფარგლებში მოსწავლეებს ტექნიკით აღჭურვილი (კომპიუტერი, სმარტფონი, პატარა მიკროფონები, სხვადახხვა განათების შტატივები) ოთახი აქვთ გამოყოფილი, სადაც მუშაობს სარედაქციო კოლეგია, რედაქტორი, კურატორი მასწავლებელი, ოპერატორი, მონტაჟის სპეციალისტი. ტელევიზია „მზერა" სასკოლო ცხოვრების შესახებ მაუწყებლობს და სასკოლო საზოგადოებას აწვდის სიახლეებს, ამზადებს რეპორტაჟებს ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიებიდან.ამზადებს გასართობ გადაცემებს და სხვა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კლუბის ინიციატივით ჩატარდა პროექტები:

- "წარსულის ნაკვალევი- სკოლის მუზეუმი". აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოეწყო ეთნოგრაფიული და ისტორიული კუთხე, რომელიც არის არა მხოლოდ ექსპონატების საცავი, არამედ სასწავლო ლაბორატორიაც.მუზეუმი აერთიანებს ტრადიციულ ექსპონატებსა და თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს (მაგ:QRკოდები ნივთის ისტორიით)
- "ქართული ვაზის კოსმოსური მოგზაურობა"პროექტის საშუალებით მოსწავლეებმა შეძლეს გეანალიზებინათ ქართული ვაზის მნიშვნელობა კულტურულ და მეცნიერულ კონტექსტში, შეისწავლეს ვაზის ზრდისთვის საჭირო პირობები და იმსჯელეს შესაძლებელია თუ არა ვაზის გაშენება სხვა პლანეტებზე
- „ოჯახური ძალადობა და მისი პრევენციის გზები"პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შეისწავლეს ოჯახური ძალადობის ტიპები, მიზეზები, შედეგები და დასახეს გამოსავლის გზები.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კლუბში მომზადდა სტატია:„დავით აღმაშენებელი-შუა საუკუნეების დიდი სტრატეგი"

სკოლის დირექცია ხელს უწყობს თვითმმართველობის მუშაობას. თვითმმართველობის ინიციატივით შექმნილია ისტორიის წრე „დროის მატარებელი“ სადაც მოსწავლეები შეისწავლიან ისტორიას ტექნოლოგიებით და შეაფასებენ წარსულ თანამედროვეობის თვალით

ფსიქოლოგიის კლუბის წევრების მიერ განხორციელდა მცირე საგრანტო პროექტი: „ჩვენი ბრდნიერი მომავლისთვის“ ფსიქოლოგიის კლუბის წევრებმა გამოკვეთეს პრობლემა, იმსჯელეს გადაჭრის გზებზე,მიიღეს ინფორმაცია კარიერულ თავისუფლებაზე, რაც ნაადრევი ქორწინების პრევენციისთვის ერთერთი მნიშვნელობანი საკითხია

კოლის ფსიქოლოგიის კლუბმა განახორციელა პროექტი:“ხელვჩაურის გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა“ კლუბის წევრები შეხვდნენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის წარმომადგენლებს. პროექტის მიზანი იყო ადრეული ქორწინების სოციალური, ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო შედეგების გააზრება, კრიტიკული აზროვნების განვითარება.

სკოლის ბიბლიოთეკამ განახორციელა პროექტი: „გადაშალე წიგნი-აღმოაჩინე სამყარო“. პროექტის მიზანი იყო სასკოლო ბიბლიოთეკის გამდიდრება ქართული და მსოფლიო ლიტერატურით, მოსწავლეებში კითხვის კულტურის , აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება, ბიბლიოთეკის გარდაქმნა აქტიურ გაგანმანათლებლო სივრცედ.

სასკოლო პოპულარულმა პროექტმა:“მე რომ დირექტორი ვიყო“ მოსწავლეებს მისცა პლატფორმა, დაინახონ საკუთარი თავი, როგორც სკოლის განვითარების თანამონაწილეები, ისწავლონ პრობლემის იდენტიფიცირება და რეალისტური არგუმენტირებული გადაწყვეტილებების ჩამოყალიბება.

ერგეს საჯარო სკოლისა და მშობლების პარტნიორობის ჯგუფმა განახორციელა პროექტი:“მამაები- ნათელი მომავლისთვის“

პროექტის მიზანი იყო ა)სკოლისთვის საჭირო რესურსების, აღჭურვილობის, წიგნების, სახელმძღვანელოების შეძენა,გადატანა,მოწყობა.ბ)სკოლის ეზოს, სივრცეების მოწესრიგება,ნარგავების დარგვა და მოვლა,გ) სკოლის რეაბილიტაციის, რემონტისა და განახლების პროცესში ფიზიკური და ფინანსური დახმარება, დ)კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა. მშობლების პრტნიორობის ჯგუფმა სხვა აქტივობებთან ერთად აიტაცა გზავნილი“ვინ იქნება შემდეგი“ და საგაზაფხულო ნარგავების სახელობითი ნარგავების დარგვა განახორციელეს

ხელოვნებით გატაცებული მოსწავლეებმა ხელოვნების მასწავლებლების ინიციატივით განახორციელეს შემდეგი შემოქმედებითი დავალებები: „ოქროსფერი შემოდგომა“მოსწავლეებმა შემოდგომის თემაზე შექმნეს ფერადი ნამუშევრები, დეკორატიული ნივთები და ღია ცის ქვეშ გააკეთეს გამოფენა „სამოსის მოდელირება“ მოსწავლეებმა შექმნეს ტანსაცმლის ესკიზები და წარმოაჩინეს საკუთარი დიზაინერული იდეები. „მაკეტების შექმნა“ბიბლიოთეკაში განხილული ზღაპრის „სამი გოჭი“ მიხედვით შექმნეს სახლების მაკეტები „დედის დღე“ დედის დღესთან დაკავშირებით მოსწავლეებმა შექმნეს ნახატები, მოაწყვეს გამოფენა. და სხვა....

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ერგეს საჯარო სკოლაში ყურადღებით ეკიდებიან მოსწავლეებისგან, მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან მიწოდებულ უკუკავშირს სერვისების ხარისხის შესახებ. სკოლა აანალიზებს უკუკავშირების შედეგებს და პროცესების გაუმჯობესების მიზნით სათანადო რეაგირებას ახდენს. აღნიშნული უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას. სკოლა გეგმავს მომავალში კითხვარების საშუალებით შეისწავლოს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების აზრი და და უფრო ორგანიზებულად შეძლოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება N01-01-07 საქმიანობის წარმართვის შესახებ;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი; რემედეაცია, ტრანზიციის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- წრეები, კლუბები, პროექტები, გრანტები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლაში ტარდება სხვადასხვა აქტივობა. კლასის დამრიგებლები კლსის საათის ფარგლებში პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად ესაუბრებიან მოსწავლეებს,რაც ხელს უწყობს პროფესიის არჩევას, მოსწავლეებს აძლევს პრაქტიკულ ცოდნას და მოტივაციას კარიერული ზრდისთვის. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდომი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ სსიპ. კოლეჯ“ბლექსი“ და აგრეთვე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის .აღნიშნული სასწავლებლების წარმომადგენლებთან საინფორმაციო ვიზიტი ხელს უწყობს უფროსკლასელების პროფესიულ ორიენტაციას

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა, კლასის დამრიგებლების საშუალებით, აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს კი ინფორმაცია მიეწოდებათ მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალურ შეხვედრებზე. მოსწავლეებს კლასის დამრიგებლების საშუალებით ეგზავნებათ ლინკები, სადაც შეუძლიათ სხვადასხვასასწავლებლების ღია კარის ონლაინ შეხვედრებს დაესწრონ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ყოველთვის დაინტერესებულია კურსდამთავრებულთა შედეგებით ეროვნულ გამოცდებზე. სკოლა ატარებს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევას, რომლის საფუძველზეც ხდება შესაძლებელია იდენტიფიცირება რამდენად დაეხმარა მოსწავლეს კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მშობელთა ჩართულობა;
- ბრძანება N01-01-10 მშობლებთან ურთიერთობის და დებულება;
- ბრძანება N01-01-10 დამრიგებლის მუშაობის დებულების დამტკიცება და დამრიგებლის მუშაობა;
- სადამრიგებლო პროგრამა
- მემორანდუმი კოლეჯთან "ბლექსი";
- მემორანდუმი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლა ხელ უწყობს სსსმ მოსწავლეების აკადემიურ და სოციალურ, ემოციურ და პიროვნულ განვითარებას და აგრეთვე მის ინტეგრირებას სასკოლო საზოგადოებაში. სკოლას აქვს შემუშავებული „სსსმ პირტათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია", რომელიც არეგულირებს სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას.აღნიშნულ დოკუმენტში დაწვრილებითაა გაწერილი სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების რეგულაცია, სტატუსის მოხსნის რეგულაცია,ინდივიდუალური სასწავლო ს გეგმის შემუსავებისა და შესრულების მონიტორინგი,სკოლის ვალდებულებები და სხვა

სკოლაში სსსმ მოსწავლეთათვის შემუშავებული სტრატეგიის შესაბამისად ხდება მიზნებზე ორიენტირებული აქტივობების, ადაპტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებების დანერგვა და შემდგომ პროგრესის შეფასება. სკოლა მზადაა საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავოს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაც. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნისა და მასწავლებლის მიერ შეფასებული მიღწევის დონის შესაბამისად შედგენილია ისგ გეგმები. სკოლაში არსებობს განრიგი, რომლის მიხედვითაც სპეციალური მასწავლებლები მუშაობენ სსსმ მოსწავლეებთან რესურს ოთახში. სკოლის რესურს ოთახი აღჭურვილია მრავალფეროვანი აქტივობების განსახორციელებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეების მხარდასაჭერად გარეთიანებულია სასკოლო საზოგადოება. სკოლაში დროულად ხდება სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირება. სკოლას შემუშავებული აქვს „სსიპ სოფელ ერგეს საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განცხორციელების სამოქმედო გეგმა", სადაც სასწავლო წლის განმავლობაში დროში გაწერილია აქტივობების შინაარსი, და დაფიქსირებულია პასუხისმგებელი პირები. სასწავლო წლის განმავლობაში აღნიშნული გეგმის მიხედვით ხდება დაგეგმილი აქტივობების განხორციელების მონიტორინგი. ამ ეტაპზე სკოლაში 19 სსსმ მოსწავლეა, რომელთა ინკლუზიურ განვითარებას ემსახურება ორი სპეციალური მასწავლებელი. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან და აწვდით მათ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესაბამის ინფორმაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება N01-01-21 სსსმ სერვისებოს მიწოდების რეგულაციის შესახებ:

- ბრძანება N01-01-22 სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები;
- ინკლუზიური განვითარების გეგმა;
- ინტერვენციის გეგმა;
- ბრძანება N 01-02-36 ისგ შექმნა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

როგორც თვითშეფასებაში აღნიშნავენ, სკოლა ამ ეტაპზე ვერ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. სკოლას აქვს ტრანსპორტირების სერვისი, ორგანიზებული აჭარის განათლების სამინისტროს მიერ

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

როგორც თვითშეფასებაში აღნიშნავენ, სკოლა ამ ეტაპზე ვერ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. სკოლას აქვს ტრანსპორტირების სერვისი, ორგგანიზებული აჭარის განათლების სამინისტროს მიერ

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

როგორც თვითშეფასებაში აღნიშნავენ, სკოლა ამ ეტაპზე ვერ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. სკოლას აქვს ტრანსპორტირების სერვისი, ორგგანიზებული აჭარის განათლების სამინისტროს მიერ

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ტრანსპორტით მომსახურეობა;

- ბრძანება N 01-02-56 ტრანსპორტით მომსახურების აღრიცხვის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

ერგეს საჯარო სკოლას აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ეხმარება სკოლას სწავლა-სწავლების პროცესში შეიმუშაოს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, რომლის თანახმადაც მოსწავლე სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველია. ამავე დროს, მასწავლებელი მკაფიოდ ხედავს, საგნობრივ საკითხებზე მუშაობისას, რა წვლილი შეაქვს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაში (ფიზიკური, კოგნიტური, სოციოემოციური). სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებული უნდა

იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებსა და ორიენტირებზე, რათა უკეთ იზრუნონ მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები, საგნობრივი კურიკულუმებზე მუშაობის ძირითადი პრიციპები (თანამშრომლობა და ჩართულობა), განსაზღვრულია პროცესში ჩართული მხარეები, ძირითადი პროცესები და აგრეთვე განსაზღვრულია როგორ ხდება დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია
კათედრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთანეთთან თანამშრომლობენ, ერთად განიხილავენ კურიკულუმებს, ცალკეულ აქტივობებს, მსჯელობენ და მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შექმნაში მონაცილეობს კათედრის ყველა წევრი და კათედრა თანამშრომლობითი კულტურით, გასული წლის გამოცდილების გათვალისწინებით ქმნის კურიკულუმს. კლასის თავისებურებების, ინტერესების, მიღწევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება ხდება ცალკეული აქტივობის გაწერისას.კათედრებთან გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა თანამშრომლობითი კულტურა როგორც კათედრებზე ასვეე კათედრათა შორის, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას. კლასის დამრიგებლებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან როგორც მშობელთა კრებებზე, ასევე პირადი გაუბრებისას და მათი ინტერესებიც გათვალისწინებულია კურიკულუმის შედგენის პროცესში
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება და ითვალიწინებს წინა წლის შედეგებსა და გამოვლენილ ხარვეზების.კათედრის წევრები მსჯელობენ კურიკულუმში შესატან საკითხებზე, აქტივობებს არგებენ კლასების შესაძლებლობებსა და მიღწევებს, ერთმანეთს უზიარებენ რესურსებს, ადგენენ შეფასების კრიტერიუმებს. ამავე დროს,საგნობრივი კურიკულუმის პრიორიტეტი მოსწაცლეთა პიროვნული და სოციალური განვითარებაა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სამივე საფეხურის კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გაზიარებული და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. საგნობრივი პროგრამები და დაგეგმილი აქტივობები მშობელთა კრებებსა და პირად საუბრებში აქტიურად ზიარდება წლის დასაწყისიდან. მასწავლებლები მოსწავლეებს და მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ საგნობრივ კურიკულუმებს, შემოქმედებით დავალებებს, შეფასების კრიტერიუმებს, დაგეგმილ ღონისძიებებსა და აქტივობებს. მშობლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო არხებს: ელექტრონულ ფოსტას, სკოლის ვებგვერდს, მშობელთა დახურულ ჯგუფებსა და ჩატებს, აგრეთვე მშობელთა კრებებსა და პირად კონტაქტებს
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- ბრძანება 01-01-13;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სტანდარტის შესაბამისია, მოცემული დავალებები არის საინტერესო და მრავალფეროვანი; საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ, ზოგიერთი კომპონენტი ყველგან არ გვხვდება; **რჩევა**: სასურველია კათედრაზე შეთანხმდეს სწავლების სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმების ერთიანი ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩოს საფუძველზე თითოეულმა მასწავლებელმა უზრუნველყოს საკუთარი საგნობრივი კურიკულუმის შემუშავება, რაც გაამლიერებს თანმიმდევრულობას და ხარისხის ერთიან სტანდარტს. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩო თემატური ერთეულებით, კურიკულუმის ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების ხედვა და შეუძლია დაინახოს მოსწავლეთა განვითარების ეტაპობრივი სვლა. შუალედური მიზნები დაფუძნებულია ასაკობრივი თავისებურებებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებაზე, რაც ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას და მათ მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა მუშაობს სხავდასხვა მრავალფეროვან პროექტებზე მაგალითად როგორიცაა რელიგიური დღესასწაულები, კულტურული მრავალფეროვნება, “დროის მატარებელი”,

	გავაცოცხლოთ წარსული მომავლისთვის. სამომავლოდ იგეგმება მოსწავლეების ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით პროექტები, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს საგნობრივ სწავლებასა და მოსწავლეების უნარების განვითარებას. ***რჩევა:*** საგან „მე და საზოგადოების“ კურიკულუმში თემების ფარგლებში რიგი სამიზნე ცნების ასახვა სრულად არ ჩანს. სასურველია, სწავლა-სწავლების პროცესში თითოეული თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება თანმიმდევრულად და სრულად დამუშავდეს. **რჩევა**: XII კლასის გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია მათემატიკის კურიკულუმის მიხედვით, რაც ტექნიკურ ხარვეზზე მიუთითებს. სასურველია ტექნიკური ხარვეზის გასწორება და გეოგრაფიის კურიკულუმის სრულყოფილი, შესაბამისი ვერსიის შემუშავება. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	შემუშავებული კურიკულუმი უცხო ენების მიმართულებით წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების თანმიმდევრულ გზას. კურიკულუმის ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული უცხო ენის სწავლების ხედვა და შეუძლია განსაზღვროს მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივი განვითარება (მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა). შუალედური მიზნები აგებულია ასაკობრივი თავისებურებებისა და ენის ფლობის დონეების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და მათ აქტიურ ჩართულობას კომუნიკაციურ პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრაქტიკული კომუნიკაციის განვითარებას, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენონ უცხო ენა რეალურ და მათთვის მნიშვნელოვან კონტექსტებში. სამივე საფეხურზე უცხო ენებში შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემატიკა, ტექსტები, საკომუნიკაციო დავალებები, პროექტები და დამატებითი რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და ენობრივი მზადყოფნის შესაბამისად. ეს ხელს უწყობს არა მხოლოდ ენობრივი უნარების განვითარებას, არამედ კულტურული ცნობიერების გაღრმავებასაც. **რჩევები:**

	▪ სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს კომუნიკაციურ და ინტერაქტიულ აქტივობებზე (როლური თამაშები, დისკუსიები, პრეზენტაციები), რათა მოსწავლეებმა ენა გამოიყენონ პრაქტიკაში. ▪ სასურველია დიფერენცირებული სწავლების გაძლიერება, სხვადასხვა დონის მოსწავლეთათვის შესაბამისი დავალებების შეთავაზებით. ▪ სასურველია ფორმატიული შეფასების სისტემატური გამოყენება, რაც დაეხმარება როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს პროგრესის სწორად გააზრებაში. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელოვნება/მუსიკის კურიკულუმი სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. გეგმა ეფუძნება საგნობრივ კომპეტენციებს, **რჩევა:** • საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან. სასურველია კათედრაზე შემუშავებული და შეთანხმებულ იქნას საერთო კურიკულუმის ჩარჩო. • სასურველია კურიკულუმში ჩანდეს მაგალითი შედარებისათვის. • კომპლექსური დავალების პირობა გადამუშავდეს ისე, რომ უფრო ნათლად იყოს ფორმულირებული და შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს. (ხელოვნების კურიკულუმში მესამე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე -კლასები). • მუსიკის კურიკულუმში დაწყებით საფეხურზე და საბაზო საფეხურზე - მეცხრე კლასში, გაიზარდოს შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებების რაოდენობა. პედაგოგებმა გასაუბრებისას გამოთქვეს მზაობა რომ რჩევებს ამ კუთხით მომავალ სასწავლო წლიდან გაითვალისწინებენ. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენაში შემუშავებული კურიკულუმი შექმნილია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები, შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი და დამატებითი რესურსები - მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	**მათემატიკის** კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. პედაგოგთა მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია უზრუნველყოფს სწავლების იმგვარ მოდელს, სადაც აქცენტი კეთდება სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე და პრაქტიკულ აქტივობებზე. კურიკულუმში მოცემული თემები ეფუძნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და

	მაქსიმალურად არის მორგებული ბავშვების ასაკობრივ ინტერესებზე. ეს მიდგომა ხელს უწყობს საგნობრივი სამიზნე ცნებებისა და შედეგების ინტეგრირებულად ათვისებას, რაც საფუძველს უყრის მოსწავლის ფუნქციური ცნობიერების და სოციალური უნარების განვითარებას. საბაზო საფეხურის კურიკულუმები სრულად შეესაბამება ესგ-ის სტანდარტებს. მასში მკაფიოდ არის გაწერილი სამიზნე ცნებები და ცოდნის სამივე კატეგორია. აქცენტი კეთდება კომპლექსურ და შემოქმედებით დავალებებზე, რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერსა და კვლევითი უნარების განვითარებას. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. პედაგოგთა მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიმართულია აკადემიური დამოუკიდებლობისა და პროფესიული ორიენტაციისკენ. შერჩეული თემატიკა, რომელიც ეფუძნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, სინთეზირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებთან და სამომავლო კარიერულ მიზნებთან. ეს მიდგომა ხელს უწყობს რთული საგნობრივი ცნებებისა და შედეგების მაღალ დონეზე ინტეგრირებულ ათვისებას, რაც ამზადებს კურსდამთავრებულს უმაღლესი განათლებისა და შრომითი ბაზრისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურებრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა მიიღეს რჩევა, რომელსაც გაითვალისწინებენ სამომავლოდ. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი,

	ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სკოლის მისიას. გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები არის მრავალფეროვანი, მიზნობრივი და ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი. სკოლას აქვს სამივე საგნის ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის კაბინეტი, ასევე კეთილმოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია - საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, სადაც ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სხვადასხვა ცდებით და ექსპერიმენტებით ხდება, მასწავლებლები იყენებენ ასევე ონლაინ და მატერიალურ რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს. სწავლების სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, რაც ჩანს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ფოტო-მასალიდანაც. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში გაიწეროს სასკოლო პროექტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებების შესაბამისი აქტივობებიც. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მტკიცებულებებით ასახავს, რომ კურიკულუმის დაგეგმვა ეფუძნება საგნობრივ შედეგებსა და შესაბამის გრძელვადიან მიზნებს.

	ძირითადად, მკაფიოდ არის გამოკვეთილი, რომ სასწავლო პროცესი სტრუქტურირდება საფეხურის მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად და თემატური ბლოკების ფარგლებში მუშავდება ეროვნული გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მათი ქვეცნებები და შესაბამისი შედეგები. თითოეული თემატური ბლოკი მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული გეგმის მიზნებს. კათედრის თავჯდომარის და წევრების მხრიდან ხაზგასმულ იქნა, თემატური ბლოკების და სამიზნე ცნებების ურთიერთკავშირი სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმი უცხო ენების მიმართულებით სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და სტანდარტებს. კათედრაზე წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები შესაბამისობაშია უცხო ენის სწავლების სტანდარტებთან და ეფუძნება ენობრივი კომპეტენციების (მოსმენა, კითხვა, საუბარი, წერა) განვითარების ერთიან სისტემას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ნათლად ასახავს, რომ კურიკულუმის დაგეგმვა ემყარება საგნობრივ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესი სტრუქტურირებულია საფეხურების მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და თემატური ბლოკების ფარგლებში მუშავდება უცხო ენის სწავლებისათვის მნიშვნელოვანი სამიზნე ცნებები (მაგ: კომუნიკაცია, კულტურული მრავალფეროვნება, ტექსტის გაგება, ენობრივი სტრუქტურები) და მათი ქვეცნებები. თითოეული თემატური ბლოკი მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და უზრუნველყოფს ენობრივი უნარების თანმიმდევრულ განვითარებას. კათედრის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს თემატური ბლოკებისა და სამიზნე ცნებების ურთიერთკავშირზე სწავლა-სწავლების პროცესში. შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე, ხოლო თითოეულ თემაში წარმოდგენილი შუალედური მიზნები, შემოქმედებითი და საკომუნიკაციო დავალებების სახით, ხელს უწყობს საკითხების სიღრმისეულად დამუშავებას, ენობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **რჩევები:** • სასურველია აქტივობების როლი უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, თუ როგორ მიჰყავს თითოეული აქტივობა მოსწავლეს საბოლოო საკომუნიკაციო დავალებამდე (მაგ: დიალოგის შექმნა, პრეზენტაცია, წერითი ნამუშევარი).

	• სასურველია დავალებების უფრო კონკრეტულად ფორმულირება, რათა მოსწავლეებმა ზუსტად გაიგონ, რას ითხოვს დავალება და რა შედეგს უნდა მიაღწიონ. • სასურველია მეტი ინტეგრირებული აქტივობების გამოყენება (მაგ: ერთდროულად საუბრისა და მოსმენის განვითარება). **ინდიკატორი 2.1.2.2 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი მიზნები დაწყებით, საბაზო და სასუალო საფეხურზე დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, სკოლის ესთეტიკური კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. **რჩევა:** სასურველია დაიგეგმოს პროექტები/აქტივობები სხვა საგნებთან ინტეგრირებით. სხვა საგნებთან ინტეგრირებული პროექტების/აქტივობების დაგეგმვა ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. ასეთი მიდგომა: • აძლიერებს სხვადასხვა საგანს შორის კავშირების დანახვას და ერთიან სურათს ქმნის; • ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრისა და ანალიზის უნარებს; • ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, რადგან სწავლა ხდება უფრო საინტერესო და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული; • უწყობს ხელს თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებას; • უზრუნველყოფს კომპლექსური დავალებების შესრულებას, რაც უკეთ ამზადებს მოსწავლეებს პრაქტიკული გამოწვევებისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეულ თემაში შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები და აქტივობები უზრუნველყოფს შესაბამისი საკითხების სიღრმისეულად დამუშავებას და საგნობრივი ცნებების გაცნობიერებას, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია **სამივე საფეხურის** სახელმწიფო ენის კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ გამოკვეთოს აქტივობების როლი. აქტივობები იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ მოსწავლეები ეტაპობრივად მივიდნენ კონკრეტული დავალების შესრულების პროცესამდე.

	მკაფიოდ გამოიკვეთოს შუალედური მიზნის ანუ შემოქმედებითი ბუნების დავალების მიმართება საგნობრივ ცნებებთან, ანუ განისაზღვროს კონკრეტული დავალებით რომელ გრძელვადიან მიზანზე (ცნებებზე)მიმდინარეობს მუსაობა. სასურველია უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად გამოკვეთოს საკითხი დავალებებში. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო კურიკულუმები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებსა და სტანდარტებს. მათში დეტალურად არის გაწერილი ყველა სამიზნე ცნება, ქვეცნებები და ის თემატური ბლოკები, რომელთა დაძლევაც აუცილებელია სასწავლო წლის განმავლობაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება კომპლექსურ დავალებებზე რომლებიც სასწავლო პროცესის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს და ეხმარება ბავშვებს საბაზისო უნარების პრაქტიკულად ათვისებაში. **რჩევა;** სასურველი იქნება თუ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი ყველა კლასში სკოლაში იქნება შეთანხმებული და ერთიანი მიდგომით შევსებული. გამოყენებული რესურსები ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე, თუმცა ციფრული მასალების გვერდით მნიშვნელოვანია დარგობრივი ლიტერატურის მეტი ინტეგრირება. ეს დაეხმარება პედაგოგს სწავლების უკეთ დიფერენცირებაში, მოზარდების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. **რჩევა:** კურიკულუმის გადამუშავებისას გაძლიერდეს რესურსების მრავალფეროვნება, რაც ხელს შეუწყობს კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნას. საშუალო საფეხურის კურიკულუმი პასუხობს ესგ-ის მიზნებს და ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე. კომპლექსური დავალებების მეშვეობით ხდება ცოდნის სიღრმისეული რეალიზება, რაც ამზადებს მოსწავლეებს უმაღლესი განათლებისა და პროფესიული თვითგამორკვევისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები, დაზუსტდეს სამიზნე ცნებების სახელდება, სტანდარტის შედეგები და კონკრეტული დავალების იდეა. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3..კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები არის მრავალფეროვანი, მიზნობრივი და ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი. სკოლას აქვს სამივე საგნის ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის კაბინეტი, ასევე კეთილმოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია - საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, სადაც ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სხვადასხვა ცდებით და ექსპერიმენტებით ხდება, მასწავლებლები იყენებენ ასევე ონლაინ და მატერიალურ რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურუკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს მოტივაციის ამაღლებას მოსწავლეებში და სწავლის შედეგების მიღწევას.რესურსებში წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, მრავალფეროვანი ლინკები და იუთუბ არხები. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და ორიენტირებულია ენობრივი კომპეტენციების (მოსმენა, კითხვა, საუბარი, წერა) თანმიმდევრულ განვითარებაზე. კურიკულუმში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ელექტრონული პლატფორმები, აუდიო და ვიდეო მასალები - შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და ენობრივი საჭიროებების

	გათვალისწინებით. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს როგორც ენობრივი ცოდნის გაღრმავებას, ისე მისი პრაქტიკული გამოყენების უნარის განვითარებას რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში. უცხო ენების კათედრაზე წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კურიკულუმის დაგეგმვა ეფუძნება საგნობრივ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც მიმართულია კომუნიკაციური კომპეტენციის, კულტურული ცნობიერებისა და ფუნქციური უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესი სტრუქტურირებულია საფეხურების მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. თემატური ბლოკების ფარგლებში მუშავდება უცხო ენის სწავლებისთვის მნიშვნელოვანი სამიზნე ცნებები (მაგ., კომუნიკაცია, ტექსტის გააზრება, ენობრივი ფორმები, კულტურათაშორისი ურთიერთობა), მათი ქვეცნებები და შესაბამისი შედეგები. თითოეული თემატური ბლოკი მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესს ენობრივი უნარების ეტაპობრივი განვითარების გზით. **რჩევები:** ▪ სასურველია ფილმების, ანიმაციებისა და მოკლე ვიდეოების გამოყენება როგორც მოსმენის, ისე კულტურული კონტექსტის გააზრებისთვის. ▪ აქტიურად გამოიყენეთ რესურსები დისკუსიებისა და როლური თამაშებისთვის, რათა მოსწავლეებმა ენა გამოიყენონ რეალურ კომუნიკაციურ გარემოში. ▪ მნიშვნელოვანია რესურსების დიფერენცირება - სხვადასხვა სირთულის მასალების შეთავაზება განსხვავებული ენობრივი დონის მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ხელოვნების საგნობრივი სწავლებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები – სახელმძღვანელოები, ვიზუალური მასალები, ციფრული პლატფორმები და დამხმარე მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კაბინეტი ნაწილობრივ აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით – ვიზუალური და ტექნიკური საშუალებები, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული და სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი რესურსები, ვებ გვერდები აუდიო და ვიდეო მასალა და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. კათედრის წევრების ერთობლივი შეთანხმებით დაალაგონ კლასების იხედვით რესურსების ბაზა, სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში შესაბამის გრაფაში სრულად შეიტანონ მატერიალური და ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ.

სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები: გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ელექტრონული რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ბოლო სვეტი გამდიდრდეს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით, როგორიცაა: ვიდეორგოლები, ნიმუშები (მაგ.: დღიურის ჩანაწერი, წერილი, ჩანახატი, ესე, პოსტერი და სხვ.), ფილმები, ანიმაციები და თემატურად მსგავსი ტექსტები. აღნიშნული რესურსები ეფექტურად შეიძლება გამოყენებულ იქნას დისკუსიების წარმართვისთვის, პარალელების გასავლებისთვის და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი წერითი დავალებების შესასრულებლად, რაც გაამდიდრებს სასწავლო პროცესს და გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია** .
მათემატიკა	რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ამ ეტაპზე კურიკულუმი მეტწილად ინტერნეტ-წყაროებს ეფუძნება. ეფექტიანობისთვის სასურველია მასალების გამრავალფეროვნება (თვალსაჩინოებები, პრაქტიკული მასალები), რაც პედაგოგს სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებს გაითვალისწინებს. **რჩევა:** კურიკულუმის გადამუშავებისას კათედრამ რესურსების ტიპობრივი მრავალფეროვნებაზე გაამახვილოს განსაკუთრებული ყურადღება, რათა გარემო გახდეს უფრო საინტერესო და ბავშვზე უფრო მეტად ორიენტირებული. კურიკულუმის რესურსები ორიენტირებულია მიზნების მიღწევაზე, თუმცა სასურველია ინტერნეტ-მასალების გვერდით კვლევითი და დოკუმენტური წყაროების ჩართვა. რესურსების დივერსიფიკაცია ხელს შეუწყობს დიფერენცირებულ სწავლებას მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. **რჩევა:** კურიკულუმში ჩაემატოს რესურსების ფართო არეალი, რათა სასწავლო პროცესი უფრო დინამიკური და თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული გახდეს სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით დასახული მიზნების რეალიზებას. ინტერნეტ-წყაროებთან ერთად, აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენება პედაგოგს საშუალებას მისცემს, ეფექტურად მოახდინოს სწავლების დიფერენცირება მოსწავლეთა პროფესიული ინტერესების მიხედვით. **რჩევა:** სასურველია რესურსების მრავალფეროვნებაზე აქცენტის გაკეთება, რაც უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური სტანდარტის გარემოს, უმაღლესი განათლებისთვის მომზადების ეტაპზე. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალ;ური რესურსით - ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით.. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე- დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაწყებით საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესი არის მოსწავლეებზე ორიენტირებული, კურიკულუმები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში შეარჩიოს დავალების შესრულების ფორმა. შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი დავალებები, არის მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების გამოყენების პრაქტიკა. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე მოიცავს მრავალფეროვან, მოსწავლეზე მორგებულ აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მათი აქტიური ჩართულობის გაზრდასა და საგნობრივი ცოდნის ეტაპობრივად განვითარებას. სასწავლო დავალებები გათვლილია არა მხოლოდ მოსწავლის ინტერესებზე, არამედ მათი უნარების გაძლიერებაზე, რაც ამაღლებს მათი ჩართულობის ხარისხს და სწავლების ეფექტურობას. ინტერვიუს ფარგლებში პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აქტიურად ეხმარებიან მოსწავლეებს – საჭიროების შემთხვევაში დაგეგმილი აქტივობების შინაარსობრივ ან ფორმატულ ცვლილებებს, გამოიყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და შესთავაზებენ კრეატიულად მოდიფიცირებულ რესურსებს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა ინტერესზე დაფუძნებულ, გრძელვადიან ჩართულობას. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენების სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ეფუძნება დიფერენცირებულ სწავლების მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას და მათ ეფექტურ ჩართულობას. პედაგოგები აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ სტრატეგიებს, რაც გულისხმობს დავალებების, აქტივობებისა და რესურსების ადაპტირებას მოსწავლეთა ენობრივი დონის, ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად. კურიკულუმი იძლევა მოქნილობის შესაძლებლობას, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს სასწავლო პროცესის მოდიფიცირება. უცხო ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე მოიცავს მრავალფეროვან, მოსწავლეზე მორგებულ აქტივობებს, რომლებიც მიმართულია ოთხივე ენობრივი უნარის (მოსმენა, კითხვა, საუბარი, წერა) განვითარებაზე. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის ზრდას, კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას და ენობრივი ცოდნის ეტაპობრივ გაღრმავებას. სასწავლო დავალებები გათვლილია როგორც მოსწავლეთა ინტერესებზე, ისე მათი უნარების განვითარებაზე, რაც ზრდის მოტივაციას და სწავლების ეფექტურობას. **რჩევები:** • სასურველია უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი დიფერენცირების კონკრეტული სტრატეგიები (მაგ., დავალებების დონეების მიხედვით დაყოფა, არჩევანის შესაძლებლობა, სხვადასხვა ტიპის აქტივობები).

	• მნიშვნელოვანია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ელემენტების ინტეგრირება საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. • სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოთ თანატოლთა თანამშრომლობითი სწავლება (pair/group work), რაც ხელს უწყობს ენის პრაქტიკაში გამოყენებას და სოციალურ ინტეგრაციას. • სასურველია შეფასების დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება, რათა თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი პროგრესის მაქსიმალურად წარმოჩენა. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრას მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება რომ კათედრა სასწავლო პროცესს სწავლების სამივე საფეხურზე უდგება ინკლუზიურად და იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გასაუბრებისას აღწერეს ის მიდგომები რასაც იყენებენ მოსწავლეთა ინკლუზიური მიდგომებისას ასვე გამოიკვეთა რომ ისინი ითვალისწინებენ კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს და ინტერესებს. ინკლუზიური მიდგომა და დიფერიენცირება ჩანს შემოქმედებითის დავალებების შესრულებისას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათთვის ეფექტური გზებით ცოდნის დაუფლებას. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. კურიკულუმი იძლევა მოდიფიცირების საშუალებას თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. გამოიყენება ადაპტირებული რესურსები და დავალებები. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში მოქმედებს ისგ-ის შემუშავების მექანიზმი, რაც სწავლების ინდივიდუალიზაციას უწყობს ხელს. კომპლექსური დავალებების შინაარსი ასახავს დიფერენცირების პრინციპებს, რაც სასწავლო პროცესს სრულად ინკლუზიურს ხდის. **რჩევა:** კათედრაზე მოხდეს რესურსების წინასწარი დაგეგმვა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, რათა სწავლება მაქსიმალურად მოერგოს მათი რეალურ საჭიროებებს. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების აღსაწერად. შემოქმედებითი დავალებები ორიენტირებულია ინკლუზიურობაზე, რაც აკადემიური მიზნების მიღწევის გარანტიაა. **რჩევა:** კათედრაზე განხილულ იქნას მოსწავლეთა მიღწევების ანგარიშები, რათა რესურსების შერჩევა მოხდეს კონკრეტული აკადემიური საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრიდან ნათელია, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის

	ინტერესი. თუმცა, როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლე, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არ საჭიროებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინკლუზიურ მიდგომებს, აქვთ მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად შექმნილი ადაპტირებული დავალებები. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და მის შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა სწავლების პროცესში იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს, რაც ემსახურება როგორც მიმდინარე სწავლის პროცესის მართვას, ასევე მოსწავლეთა აკადემიური წინსვლის შეფასებას. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენების მიმართულებით მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სამივე საფეხურზე აქტიურად გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვას, ისე მოსწავლეთა ენობრივი პროგრესის ობიექტურ შეფასებას. უცხო ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა მოიცავს რუბრიკებს. აღნიშნული რუბრიკები ეხმარება როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს მკაფიოდ დაინახონ შეფასების კრიტერიუმები და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობა. სწავლების პროცესში შეფასება ორიენტირებულია ენობრივი უნარების განვითარებაზე და მოიცავს როგორც პროცესის შეფასებას ისე შედეგის შეფასებას. განმავითარებელი შეფასება უზრუნველყოფს მოსწავლის მუდმივ

	უკუკავშირს და ეხმარება მას საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გააზრებაში, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ასახავს მიღწეულ შედეგებს კონკრეტულ ეტაპზე. **რჩევები:** ▪ სასურველია შეფასების რუბრიკები უფრო მკაფიოდ დაუკავშირდეს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს რათა გამოიკვეთოს კონკრეტულად რომელი უნარი ფასდება. ▪ სასურველია თითოეული დავალების პირობისა და მოთხოვნების მაქსიმალურად კონკრეტულად ჩამოყალიბება, რათა მოსწავლემ ზუსტად იცოდეს, რას მოეთხოვება. ▪ სასურველია ზეპირი უნარების შეფასების უფრო სისტემატური ინსტრუმენტების დანერგვა (მაგ., საუბრის რუბრიკები, თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება). ▪ სასურველია განმავითარებელი შეფასების გაძლიერება რეგულარული უკუკავშირის საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პროგრესის უკეთ მართვას. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ესთეტიკური საგნების სწავლებისას ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, სწავლების პროცესში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმა: მასწავლებლის უკუკავშირი, ნამუშევრების ანალიზი, ესსე, პრეზენტაცია, თვითშეფასება და ა.შ. ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ საბოლოო შედეგზე, არამედ შემოქმედებით პროცესში ჩართულობაზე, შემუშავებული აქვთ შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის აქტივობებს მიემართება. **რჩევა:** სასურველია, **სამივე საფეხურზე** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას შორის. დავალების პირობა და მოთხოვნები სასურველა იყოს მეტად მკაფიოდ და გასაგებად ფორმულირებული. ასევე, დავალებაში გამოყენებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. არსებული რუბრიკები მეტ-ნაკლებად ასახავს აკადემიურ მიღწევებს. **რჩევა;** სისტემის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით, სასურველია შეფასების კრიტერიუმები მეტად ორიენტირდეს მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლაზე. შეფასების სისტემა სრულად პასუხობს ესგ-ის მოთხოვნებს. არსებული ინდიკატორები ზუსტად ასახავს მოსწავლეთა წინსვლას, რაც ხელს უწყობს საფეხურებრივი მიზნების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკების მეტი დეტალიზაცია, რათა უკეთ გამოჩნდეს თითოეული მოზარდის ინდივიდუალური აკადემიური ზრდა. შეფასების მექანიზმი თანხვედრაშია ეროვნულ სტანდარტებთან და უზრუნველყოფს აკადემიური მიღწევების ობიექტურ ასახვას, რაც კრიტიკულია უმაღლესი განათლებისთვის მომზადების ეტაპზე. **რჩევა:** სასურველია შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, რათა ისინი მაქსიმალურად ფოკუსირდეს მოსწავლის პერსონალურ პროგრესსა და ანალიტიკურ განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვთ განმათარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ის მოთხოვნებს და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება. **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმებში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები; მკაფიოდ გამოიკვეთოს კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და სტანდარტით მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმები;
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საზ. მეცნიერებების კურიკულუმები;
- პროექტების გეგმები;
- სსსმ მოსწავლის ადაპტირებული შემოქმედებითი დავალებები;
- უცხოური ენების კურიკულუმები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე , ინგლისური ,გერმანული და რუსული ენები;
- ისგ გეგმები;
- სასკოლო კურიკულუმი მუსიკა და ხელოვნება;
- კურიკულუმები ყველა კლასის მათემატიკაში;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე, გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, წახალისებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათთან ახალი ინფორმაციის გაზიარების პრაქტიკა, აქტიურად ხორციელდება არაფორმალური აქტივობები, პროექტები, კონკურსები და ა.შ. შემაჯამებელი დავალებები არის მრავალფეროვანი და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ამოცანებს. **რჩევა:** სასურველია, კათედრაზე დაინერგოს სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კურიკულუმების გაზიარების პრაქტიკა, რომელიც გაფორმდება შესაბამისი ოქმით (მაგალითად, მშობელთა კრების ან სადამრიგებლო საათის ამსახველი ოქმი). **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი სასკოლო კურუკულუმი სასწავლო პროცესს სრულად შეესაბამება, პასუხობს მის მოთხოვნებსა და საგნობრივ მიზნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სწავლება იგეგმება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი კომპონენტების – საგნობრივი მიზნების, თემატური ერთეულების, საკვანძო საკითხებისა და გრძელვადიანი სამიზნე ცნებების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენების მიმართულებით სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. სწავლება იგეგმება და ტარდება კურიკულუმში განსაზღვრული ძირითადი კომპონენტების - საგნობრივი მიზნების,

	თემატური ერთეულების, საკვანძო საკითხებისა და გრძელვადიანი სამიზნე ცნებების შესაბამისად. სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ენობრივი უნარების თანმიმდევრულ განვითარებას, კომუნიკაციური კომპეტენციის ამაღლებასა და მოსწავლეთა ინტერესზე დაფუძნებულ ჩართულობას. პედაგოგთა ერთობლივი გადაწყვეტილებით საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობების, რესურსების და შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირება, გამრავალფეროვნება ან ადაპტირება, რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და სასწავლო პროცესის ეფექტურობას. ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ პედაგოგები ყურადღებას აქცევენ თემატური ერთეულებისა და საკვანძო საკითხების შესაბამისობას, ასევე გრძელვადიანი სამიზნე ცნებების განვითარების თვალსაზრისით. **რჩევები:** ▪ სასურველია კურიკულუმში აქტივობების მოდიფიცირების პროცესი უფრო სისტემატურად იყოს აღწერილი, რათა აშკარად იყოს გამოხატული თითოეული აქტივობის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი. ▪ სასურველია ინდივიდუალურად ადაპტირებული რესურსებისა და დავალებების ნუსხის შექმნა სხვადასხვა ენობრივი დონის მოსწავლეებისთვის. ▪ სასურველია ინტეგრირებული აქტივობები იყოს წარმოდგენილი, რაც მოიცავს ოთხივე ენობრივი უნარის ერთდროულ განვითარებას (მოსმენა, კითხვა, საუბარი, წერა). **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ხელოვნებისა და მუსიკის საგნებში (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე) დაფუძნებულია სასკოლო კურიკულუმზე. გაკვეთილები იგეგმება თემატური ერთეულებისა და მიზნობრივი სწავლის შედეგების მიხედვით. სწავლების შინაარსი შერჩეულია კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში და მიზნად ისახავს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების, მხატვრული აღქმისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული მიდგომები ამ ეტაპზე სისტემურად არ გამოიყენება, გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ მათ დაგეგმილი აქვთ ინტეგრირებული პროექტები, რომლებსაც სასწავლო წლის ბოლომდე განახორციელებს. პროცესი ეფექტიანად ეხმიანება კურიკულუმით დადგენილ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სწავლების მიზნობრივობას. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგთა ერთობლივი გადაწყვეტილებით ხდება კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობების, რესურსების, შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირება, გამრავალფეროვნება ან ადაპტირება. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი კურიკულუმის ფარგლებში მიმდინარეობს და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, მოსწავლეები შემოქმედებით აქტივობებში ჩართონ. ეს მიდგომა ხელს უწყობს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. სამომავლოდ, მუშაობის ხარისხის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად. **რჩევა;** სასურველია, მეთოდოლოგიური საკითხები კათედრის წევრებმა ერთობლივად განიხილონ. სასწავლო პროცესი მეტ-ნაკლებად თანხვედრაშია კურიკულუმთან და ორიენტირებულია შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. დაგეგმვის მოდელი ეფექტურად უწყობს ხელს მოსწავლეთა აკადემიურ თვითრეალიზაციას. **რჩევა:** სასურველია მეთოდოლოგიური საკითხების კათედრის დონეზე, ერთობლივი კონსულტაციებით გადაწყვეტა, რაც გაამლიერებს სწავლების ხარისხს. სასწავლო პროცესი ვალიდურია და ეფუძნება კურიკულუმით განსაზღვრულ მაღალი დონის შემოქმედებით აქტივობებს. დაგეგმვა ორიენტირებულია მოსწავლეთა ანალიტიკური და აკადემიური პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენაზე. **რჩევა:** პროცესის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია კათედრის წევრთა მჭიდრო კოლეგიური თანამშრომლობა და საერთო სტრატეგიული მიდგომების შემუშავება. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (რომელიცაა შიდასასკოლო ფესტივალები და კონფერენციები), სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე. წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობს საჭიროებების დადგენის პროცესი. სკოლა სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროების იდენტიფიცირების შემდეგ მოქნილად რეაგირებს, რაც გამოიხატება სასკოლო გარემოს, კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალებების, რესურსების მოდიფიცირებაში.
ინდიკატორი 2.2.1.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების დაწყებით საფეხურზე (I-IV) გამოიყენება განმავითარებელი, ხოლო V-VI, VII-XII კლასებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. რუბრიკების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრების ერთობლივი ჩართულობით. წლის განმავლობაში ხდება მათი მოდიფიცირება და მორგება კონკრეტულ საჭიროებებზე. თითოეული მოსწავლისთვის წინასწარ არის ცნობილი თუ რა კრიტერიუმით შეფასდება კონკრეტული დავალების შესრულებისას. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა სამივე საფეხურზე შეიმუშავებს და ახორციელებს შეფასების ისეთ მოდელს, რომელიც ეფუძნება **სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს**. შეფასების პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული საგნობრივ მიზნებთან და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საკითხებთან. დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.**

	მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ პედგოგები შეფასების კრიტერიუმებს, რაც მათ საშუალებას მისცემს სწორად გაიაზრონ სწავლის მოლოდინები და საკუთარი პროგრესის მონიტორინგიც შეძლონ. შეფასების ეს მიდგომა ხელს შეუწყობს თვითრეფლექსიას, მოტივაციის ზრდას და პასუხისმგებლობის განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენების მიმართულებით შეფასების სისტემა ვალიდურია, ობიექტურია და სამართლიანად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და საგნობრივ საკითხებს. სამივე საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში. მოსწავლეებს წინასწარ ეცნობებათ შეფასების კრიტერიუმები, რაც საშუალებას აძლევს მათ სწორად გააზრონ სწავლების მოლოდინები, აკონტროლონ საკუთარი პროგრესი და განვითარება, რაც ზრდის მოტივაციას, პასუხისმგებლობას და თვითრეფლექსიის უნარს. შეფასების სისტემა მჭიდროდ უკავშირდება საგნობრივ მიზნებს და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საკითხებს, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ ენობრივი უნარების პრაქტიკულ გამოყენებას და განვითარებას. **რჩევები:** ▪ სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები თითოეული დავალებისთვის, რომლებიც პირდაპირ ეყრდნობა დავალების კრიტერიუმებს. ▪ სასურველია აღინიშნოს შეფასების ეტაპობრივი მოცულობა და კრიტერიუმები სხვადასხვა საფეხურის მიხედვით, რაც გაზრდის გამჭვირვალობას და ობიექტურობას. ▪ აქტიურად გამოიყენეთ განმავითარებელი შეფასება, რომელიც მოიცავს რეგულარულ უკუკავშირს, რათა მოსწავლეებმა პროგრესი რეალურად დაინახონ და შეძლონ თავის განვითარებაზე კონცენტრირება. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ შეფასების სისტემა სკოლაში ემყარება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი

	და განმავითარებელი შეფასების სქემები, და შეფასებული კომპლექსური დავალებები. შეფასების სქემები ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგების მიხედვით არის გაწერილი და არის როგორც ზოგად ხასიათის ასევე შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავებულია სამიზნე ცნებასთან მიმართებაში; განმავითარებელ შეფასებაში, აისახულია რეკომენდაციები და მოიცავს კომპონენტებს: დაზუსტება, წახალისება, რჩევა. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენაში სკოლამ წარადგინა სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით, ზოგადი რუბრიკები ცნების მკვიდრებთან მიმართებით) , რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიღწევებისა და ზოგადი სურათის შეფასების შესაძლებლობას, შესაბამისად შეფასების სისტემა ვალიდურია, მაგრამ გამჭვირვალობისა და ობიექტურობის ხარისხის გაზრდის მიზნით უმჯობესია კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კონკრეტული დავალების კრიტერიუმებს დაეყრდნობა. **რჩევა:** გირჩევთ, სამივე საფეხურზე დავალების პირობა გახადოთ ძალიან მკაფიო, გამოკვეთეთ მხოლოდ ერთი კონკრეტული პროდუქტი, რაც უნდა შექმნას მოსწავლემ. დავალების პირობაში ისეთი მოთხოვნები წაუყენეთ მოსწავლეებს, რისი გამოხატვის საშუალებასაც პროდუქტი იძლევა. თუ წერილის წერას ავალებთ მოსწავლეს დააკონკრეტეთ ვისი პოზიციიდან წერს და ვინ არის ადრესატი, მკაფიოდ განუსაზღვრეთ წერილის მიზანი. დღიურის ჩანაწერშიც დააკონკრეტეთ ვისი პოზიციიდან იწერება, კონკრეტულად რაზე უნდა წეროს გმირმა, გაითვალისწინეთ, რომ დღიურის ჩანაწერი უფრო ასახავს ადამიანის ყოველდღიურ ამბებს, მაგალითისთვის შეგიძლიათ წააკითხოთ ნაწყვეტი ანნა ფრანკის დღიურებიდან. პირველი ეტაპი პირობის სტრუქტურულად, შინაარსობრივად, სტილისტურად გამართვაა და მკაფიო კრიტერიუმების განსაზღვრა. მეორე ეტაპზე დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმები გადაიტანეთ შეფასების რუბრიკაში. (მოსწავლეს შეუფასეთ ის, რასაც პირობაში სთხოვთ.) **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის შეფასების რუბრიკები ვალიდურია და სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს. ინტეგრირებული ინდიკატორები პირდაპირ კავშირშია თემატიკასთან, რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას. **რჩევა:** სასურველია, რუბრიკები წინასწარ იყოს გაწერილი და მოსწავლეებისთვის გასაგები ენით გაცნობილი, რათა მათთვის ნათელი იყოს შეფასების თითოეული კრიტერიუმი.

	შეფასების ინსტრუმენტები მეტ-ნაკლებად ვალიდური და ობიექტურია, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების სამართლიან ასახვას. რუბრიკები სრულად პასუხობს სასწავლო მიზნებს. **რჩევა:** სასურველია, შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებს თემის დაწყებისას გაეცნოთ, რათა მათთვის პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე და გასაგები იყოს. წარმოდგენილი შეფასების სისტემა სანდო და მიზანმიმართულია. რუბრიკებში მოცემული ინდიკატორები პირდაპირ კავშირშია აკადემიურ შედეგებთან და უზრუნველყოფს ობიექტურ მიდგომას. **რჩევა:** შეფასების ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია რუბრიკების წინასწარი წარდგენა მოსწავლეებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათ თვითორგანიზებასა და პასუხისმგებლობის ზრდას. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. წარმოდგენილია მოსწავლეთა წარმატების ამსახველი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში გაიწეროს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას და სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს უნდა წარმოადგენდეს. ექსპერტთა ვიზიტის დროს, მასწავლებლებთან, დირექციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს აღნიშნული ვერიფიკაციის მექანიზმები. მასწავლებლები შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების გამოყენებაზე საუბრობდნენ ასევე საგნობრივ ექპერტებთან გასაუბრების დროს.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით, არანაკლებ სამი წლის ვადით. სკოლაში შექმნილია დოკუმენტების არქივი მატერიალური სახით, სადაც დაცულია მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამ ეტაპზე სკოლაში შეფასება ხორციელდება ელექტრონულ ჟურნალში და ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს მის აღრიცხვასა და შენახვას.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- მოდიფიცირებული შემოქმედებითი დავალება;
- კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების ანალიზი;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- კათედრების სამუშაო გეგმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	როგორც წარდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, სწავლების სამივე საფეხურზე სწავლების პროცესში გამოიყენება ის ძირითადი და დამხმარე რესურსი, რომლებიც კურიკულუმითაა განსაზღვრული. მასწავლებლები გრიფირებული სახელმძღვანელოების გარდა, იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ თუ მატერიალურ რესურსს, მოდელებს, ილუსტრაციებს, დამხმარე ლიტერატურას.

	ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო მასალები მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ვიზუალურ, ტექსტურ და ელექტრონულ წყაროებს, რომლებიც მრავალფეროვნების საფუძველზე შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. რესურსების სწორი განაწილება და მათი მიზნობრივი გამოყენება ხელს შრუწყობს მოსწავლეთა ცოდნის, კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციისა და ანალიზის უნარების განვითარებას — რაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მთავარი ამოცანაა. ეს პრაქტიკა აჩვენებს კათედრის მზადყოფნას, უზრუნველყოს სწავლა-სწავლების პროცესის მაღალმოტივაციური, მულტიმედიური და კომპეტენციებზე ორიენტირებული გარემო, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენების მიმართულებით კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და სრულად ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. სწავლების პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული ძირითადი სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები - დამატებითი საკითხავი მასალა, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, ციფრული პლატფორმები და ინტერაქტიული აქტივობები, რაც ხელს უწყობს ენობრივი უნარების (მოსმენა, კითხვა, საუბარი, წერა) განვითარებას. აღნიშნული პრაქტიკა ნათლად აჩვენებს უცხო ენების კათედრის მზადყოფნას, შექმნას მრავალფეროვანი, ინტერაქტიული და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. **რჩევები:** ▪ სასურველია რესურსების დიფერენცირება სხვადასხვა ენობრივი დონის მოსწავლეთათვის, რათა თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. ▪ სასურველია ციფრული პლატფორმების უფრო ინტენსიური ინტეგრირება, რაც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და დამოუკიდებელი სწავლის შესაძლებლობას. ▪ სასურველია მოსწავლეთა ჩართვა რესურსების შერჩევის პროცესშიც, რაც კიდევ უფრო გაზრდის მათ მოტივაციას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლა ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას დაწყებით და საბაზო საფეხურზე იყენებენ როგორც გრიფირებულ ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ხელოვნების გაკვეთილებზე, შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ვიზუალურად და პრაქტიკულად გამდიდრებას. გასაუბრებისას გამოიკვეთ , რომ , მუსიკის სწავლებისას პროცესში სასწავლო რესურსების მრავალფეროვნებას იყენებენ თუმცა კურიკულუმში არ არის მითითბული. **სკოლას მიეცა რჩევა;** • ხელოვნებისა და მუსიკის რესურსების ბაზა დაიგეგმოს კათედრის შეთანხმებით; • რესურსები დალაგდეს თემების, საგნებისა და კლასების მიხედვით კურიკულუმთან შესაბამისობაში; • აქტიურად იქნას გამოყენებული განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული ვებ-გვერდები და პლატფორმები; მუსიკის საგნის სწავლებისას ინტეგრირდეს მრავალფეროვანი ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსები, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები დამატებითი საკითხავისა და ციფრული რესურსების სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო მიზნების მისაღწევად პედაგოგები იყენებენ გრიფირებულ და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს თემების გათავისებას და მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებას შესაბამის საფეხურზე. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.** სწავლებისას მასწავლებლები ეყრდნობიან გრიფირებულ სახელმძღვანელოებსა და დამატებით რესურსებს. ეს მასალები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ საფეხურის მიზნების ეფექტიან მიღწევას და ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას.

	სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები, რაც სრულად შეესაბამება საშუალო საფეხურის აკადემიურ მიზნებს. რესურსების ერთობლიობა ეხმარება მოსწავლეებს რთული ცნებების დაუფლებასა და შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი მატერიალური, აუდიო და ვიდეო რესურსები. **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ძირითადად, დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის შეხვედრაზე. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულებით სამივე საფეხურზე გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსები სრულ შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ საგნობრივ მიზნებთან. რესურსები

	შერჩეულია მიზნობრივად, თემატური ერთეულების შინაარსისა და გრძელვადიანი შედეგების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი ცოდნისა და კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. პედაგოგებთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რესურსების შერჩევის სტრატეგიები და ახასიათებთ პასუხისმგებლობით მიდგომა — განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც შინაარსის **სანდოობასა და აკადემიურ სიზუსტეს**, ისე **მოსწავლეთა ასაკობრივი, კოგნიტური და კულტურული თავისებურებების** გათვალისწინებას. ეს მიუთითებს რესურსების გამოყენების არა მექანიკურ, არამედ გააზრებულ და მიზანმიმართულ პრაქტიკაზე. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენების მიმართულებით სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც ხორციელდება საგნობრივი კათედრის მიერ. კათედრის წევრები ერთობლივად არჩევენ დამატებით რესურსებს მოსწავლეთა ენობრივი დონის, ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ეს პროცესი უზრუნველყოფს, რომ გამოყენებული მასალები იყოს არა მხოლოდ საინტერესო, არამედ მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული. სამივე საფეხურზე გამოყენებული დამხმარე რესურსები სრულ შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ საგნობრივ მიზნებთან და ენობრივი კომპეტენციების განვითარებასთან. რესურსები შეირჩევა თემატური ერთეულების შინაარსისა და გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით (მაგ., კომუნიკაცია, ტექსტის გაგება, ენობრივი სიზუსტე, კულტურული ცნობიერება), რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ენობრივი უნარების ეტაპობრივ და თანმიმდევრულ განვითარებას. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რესურსების შერჩევის სტრატეგიები და პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამ პროცესს. ეს მიუთითებს, რომ რესურსების გამოყენება არ არის მექანიკური, არამედ წარმოადგენს გააზრებულ და მიზნობრივ პრაქტიკას, რომელიც მიმართულია ეფექტიანი სწავლა-სწავლების უზრუნველყოფისკენ. **რჩევები:** • სასურველია დამხმარე რესურსების ვალიდაციის პროცესი იყოს უფრო დეტალურად დოკუმენტირებული (კრიტერიუმები, შერჩევის პრინციპები, შეფასების ფორმები). • სასურველია რესურსების პერიოდული განახლება თანამედროვე ტენდენციებისა და მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.

	• მნიშვნელოვანია რესურსების დიფერენცირება სხვადასხვა ენობრივი დონის მიხედვით, რათა თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა. • სასურველია პედაგოგებს შორის რესურსების გაზიარების პრაქტიკის გაძლიერება (საერთო ბაზის შექმნა), რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შერჩევისა და გამოყენების წინ საგნობრივი შესაბამისობის, ასაკის შესაბამისობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრის გადამოწმებას. რესურსების აქტიური გამოყენება უზრუნველყოფს ხელოვნება/მუსიკის სასწავლო პროცესის ეფექტურობას სამივე საფეხურზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებასა და განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებაზე მათ აღნიშნეს რომ კათედრაზე ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე არჩევენ დამხმარე რესურსებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრა. დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში დამხმარე რესურსების შერჩევა და ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების დონეზე. ეს პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მასალების სრულ შესაბამისობას დაწყებითი საფეხურის ესგ-ის მიზნებთან და ბავშვთა ასაკობრივ პრიორიტეტებთან. დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრების მიერ, რაც გარანტიას იძლევა, რომ შერჩეული მასალები თანხვედრაშია სახელმწიფო სტანდარტებთან. ვალიდაციის მექანიზმი ხელს უწყობს საგნობრივი პრიორიტეტების სწორად განსაზღვრასა და შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები, რაც სრულად შეესაბამება საშუალო საფეხურის აკადემიურ მიზნებს. რესურსების ერთობლიობა ეხმარება მოსწავლეებს რთული ცნებების დაუფლებასა და შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ვალიდაციის პროცესში, დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა შეთანხმებულად, დაწყებითი კლასების კათედრაზე, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით ხდება რესურსების განახლება, ადაპტირება. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი მიზნობრივი და ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი მატერიალური რესურსით, სკოლას აქვს სამივე საგნის ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის კაბინეტი, ასევე კეთილმოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია - საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, სადაც ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სხვადასხვა ცდებით და ექსპერიმენტებით ხდება, მასწავლებლები იყენებენ ასევე ონლაინ და მატერიალურ რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულებით სამივე საფეხურზე სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. აქტიურად გამოიყენება როგორც **გრიფირებული სახელმძღვანელოები**, ისე **დამხმარე ციფრული რესურსები**, რომლებიც შერჩეულია საგნობრივი თემატიკისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ეს რესურსები ქმნის ერთიან, მიზნობრივად ორგანიზებულ საგანმანათლებლო გარემოს, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას ეფექტურად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლა-სწავლების პროცესი, ხოლო მოსწავლეს - აქტიურად ჩაერთოს, გაიაზროს და განავითაროს ცოდნა და უნარები შესაბამისი საფეხურის დონეზე. სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება, შინაარსობრივი შესაბამისობა და ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ისეთი უნარების ფორმირებას, როგორიცაა ანალიზი,

	კრიტიკული აზროვნება, ინფორმაციის გამორჩენა და კავშირების აგება, რაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ძირითადი მიზნების ორგანული ნაწილია. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენების მიმართულებით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და ტექნოლოგიური მხარდაჭერით, მოსწავლეთა რაოდენობისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს როგორც ძირითადი სასწავლო მასალებით (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი დამხმარე რესურსებით - აუდიო და ვიდეო მასალებით, ციფრული პლატფორმებითა და ინტერაქტიული ტექნოლოგიებით, რაც ხელს უწყობს ენობრივი უნარების ეფექტურ განვითარებას. სამივე საფეხურზე უცხო ენების სწავლების მიზნებისა და შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსებით, რომლებიც შერჩეულია თემატური ერთეულების, ენობრივი კომპეტენციებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. **რჩევები:** • სასურველია აუდიო-ვიზუალური მასალების სისტემატური გამოყენება, განსაკუთრებით მოსმენისა და საუბრის უნარების განვითარებისთვის. • სასურველია რესურსების ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის განსხვავებული საჭიროებების მქონეთათვის. • მნიშვნელოვანია ინტეგრირებული აქტივობების გამოყენება, სადაც ერთდროულად ვითარდება რამდენიმე ენობრივი უნარი. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმში განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო და ტექნიკური საშუალებები (დაფები, აუდიო-ვიდეო მოწყობილობები, კომპიუტერები და სხვა), რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას.საგნის სწავლებისათვის (მუსიკა/ხელოვნება) სკოლაში მოწყობილია სპეციალურად აღჭურვილი საკლასო სივრცე, სადაც ხელმისაწვდომია ნაწილობრივ აღჭურვილია მატერიელური რესურსით და საჭირო მასალები. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალური ბაზით. მოსწავლეთა ადგილების ოპტიმალური რაოდენობა საშუალებას იძლევა, აქტიურად იქნას გამოყენებული თვალსაჩინოებები და სათამაშო-შემეცნებითი გარემო თითოეული ბავშვისთვის. მატერიალური ბაზა ქმნის საფუძველს კურიკულუმის მიზნების მისაღწევად, თუმცა მნიშვნელოვანია მისი მუდმივი განახლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. მოსწავლეთა ოპტიმალური რაოდენობა საშუალებას იძლევა არსებული ტექნოლოგიების გამოყენების, თუმცა საჭიროა მეტი აქცენტი კვლევითი რესურსების მრავალფეროვნებაზე. არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა საშუალო საფეხურის სპეციფიკა მოითხოვს უფრო სპეციალიზებულ ინფრასტრუქტურას. ადგილების ზღვრული რაოდენობის დაცვა პოზიტიური ფაქტორია, რაც ქმნის პოტენციალს ინდივიდუალური პრაქტიკული სამუშაოების გასაძლიერებლად. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდრტთან. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი: პედაგოგები, სპეც.მასწავლებლები, რომელთაც შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნიათ.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შესაბამისი საგნობრივი კურუკულუმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული აქტივობების გეგმა კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- შემოქმედებითი /შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ეტაპები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით საგნობრივი კათედრების, კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრების სამუშაო სხდომის ოქმი;
- ლაბორატორიის ამსახველი ფოტო - მასალა.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება სასკოლო კურიკულუმის განხორციელების მნიშვნელოვანი ნაწილია. სკოლას აქვს გაწერილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც მოცემულია პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობები.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

ამ ეტაპზე ეფექტური უკუკავშირის საშუალებით ხდება პრობლემებისიდენტიფიცირება და მოგვარებას. სასწავლო პროცესში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის დირექციის წარმომადგენლები პერიოდულად ესწრებიან მასწავლებლებს სხვადასხვა აქტივობის განხორციელების დროს, იქნება ეს სასწავლო თუ სოციალური პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ. სკოლას გათავისებული აქვს რომ მონიტორინგი და შეფასება ეფექტურია მაშინ, თუ ის მიზნობრივადაა განხორციელებული და ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასებისსისტემა ჰოლისტური ხასიათისაა და მოიცავს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სკოლაში მონაცემების შეგროვება სხვადასხვა წყაროს საშუალებით ხორციელდება: საგნის მასწავლებლის დაკვირვება კლასის ხელმძღვანელისგან, კოლეგებისგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. მასწავლებლებს კათედრებზე შემუშავებული აქვთ შეფასების სხვადასხვა ფორმა: განმსაზღვრელი, განმავითარებელი, ურთიერთშეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები და ა.შ.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები მოსწავლეებს აკვირდებიან როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში, რაც უზრუნველყოფს თითოეულ მოსწავლეზე მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. შემდგომ კი ამ ინფორმაციას ითვალისწინებენ სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და ობიექტური.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

ერგეს საჯარო სკოლაში მასწავლებლები მოსწავლეების შეფასებისას შეისწავლიან სხვადასხვა ფაქტორს და უზრუნველყოფენ მოსწავლეებზე მორგებულ გარემოს, რესურსებზე ხელმისაწვდომობას. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ კურიკულუმში გაწერონ უფრო მეტი მრავალფეროვანი აქტივობა, რომლებიც მორგებულიიქნება მოსწავლეთა საჭიროებებზე .

ინდიკატორი 2.3.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის მეთოდოლია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბებიან კათედრებზე რამდენჯერმე და ხდება კურიკულუმის გადასინჯვა/შეფასება. საგნის მასწავლებლები ერთობლივად განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს და უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, მსჯელობენ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობაზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში ახალი კურიკულუმის შქმნის საქმეში ითვალისწინებენ წინა წლების გამოცდილებას. სკოლაში შექმინილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

მასწავლებლები გასაუბრების დროს აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო წლის განმავლობაში, კურიკულუმის განხორციელების დროს მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აუცილებლად აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულემებში. შესაბამისად, კურიკულუმის გადამუშავებული ეფუძნება წინა წლის გამოცდილებას და მასში გათვალისწინებულია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება N01-01-13 საგნობრივი კურიკულუმის მეთოდოლოგია
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 17.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ქეთევან ბოტკოველი -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რუსუდან უსტიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

ანა ტაბატაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

დარეჯან თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ანჟელა აბულაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ეკა მოსიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

ცოტნე გვაჯაია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

მარიამი ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).